საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფეა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკანონობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 22 თებერვალი. 2019 წ. №38 (8704) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იენს სტოლტენბერგი:

საქართველომ უნდა განაგრძოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირება და კანონის უზენაესობის განმტკიცება

6

კონსტიტუციის დებულებებს ეწინააღმდეგება

უვადო მოსამართლედ ყოფნის სევდა

4

საკითხი ამოწურულია!

თიბისი ბანკი TBC BANK

- გადაიხდის ჯარიმის სახით დაკისრებულ 1 მილიონ ლარს
- თიბისი ბანკს მამუკა ხაზარაძესთან ერთად ბადრი ჯაფარიძეც ტოვებს
- მამუკა ხაზარაძის დღევანდელი გადაწყვეტილება უკან დახევას ნიშნავს

2

ავთანდილ არაბული:

ვინ მოვისესენიოთ აკადემიკოსად?

3

რომ არ დაეჭირათ, ნახევარ საქართველოს მოწამლავდნენ...

11

შეუდარებელი ჯესლოში

ზეციურ ვარსკვლავად ქცეული

9

ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ერევანს?

სომეხი და ოსი სეპარატისტების ერთობლივი თამაშები

მიმდინარე კვირის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით სამი მოვლენა ვიხილეთ, რომელიც სომეხ და ოს სეპარატისტებს შორის მოულოდნელად „აღმოჩენილ“ (თუ აღმოცენებულ) „დიდი ხნის ძმობას“ შეეხება:

● ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება ცხინვალში „ოსი და სომეხი ხალხების მეგობრობის ძეგლის“, უფრო ზუსტად კი... სომხური ჯვრის დადგმას გეგმავს;

● ე.წ. არცახის (არცახის პროვინცია მდებარეობს თანამედროვე მთიან ყარაბაღის ტერიტორიაზე და შედის მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის შემადგენლობაში) სეპარატისტული რეჟიმი, მსოფლიოში არსებული სომხური დიასპორების დახმარებით, არარსებულ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ საერთაშორისო აღიარებასა და „ოსი ხალხის გენოციდის აღიარებაში“ დახმარებას დაჰპირდა;

● ახალგორის ოკუპირებული რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ დღეებში ე.წ. არცახის დელეგაციას მასპინძლობენ, სტუმრებს 864 წ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ქსნის არმაზის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია „სომხურ კულტურულ ძეგლად წარუდგინეს, რითაც სომეხი სტუმრები; სასიამოვნოდ გააოცეს“.

ეს ყველაფერი მავანს შესაძლოა, ღიმილისმომგვრელად მოეჩვენოს, მაგალითად, იმის გამო, რომ დღემდე ხსენებულ რეჟიმებს შორის რაიმე განსაკუთრებული ძმობა თუ ურთიერთსიყვარული რატომღაც არც ვინმე გარეშეს შეუმჩნევია, არც თავად მათ; ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით საერთაშორისო აღიარების კუთხით დიდი პრობლემები აქვს თავად ე.წ. „არცახსაც“ და მისი მხრიდან ამაში ოსი სეპარატისტების დახმარება, სულ მცირე, ცოტა ხმამაღალი დაპირებაა. თუმცა თუ რიგ თანმდევ პროცესებსა და წინმსწრებ მოვლენებს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, მთლად ასე სასაცილოდაც არ იყოს საქმე.

იხ. 5 გვ.

სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთსა და გერმანიაში ვიზიტებს აფასებს

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთსა და გერმანიაში ვიზიტები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ სამშობლოში კმაყოფილი ბრუნდება, რადგან საქართველოს მხარდაჭერასთან დაკავშირებით საფრანგეთის ხელისუფლების მზადყოფნამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„საფრანგეთმა გამოთქვა საქართველოს მხარდაჭერის ძალიან დიდი მზადყოფნა. ახლა უნდა დაველოდოთ, როგორ გადავა ეს განცხადებები რეალურ ქმედებებში. მე ვიტყოდი, რომ საფრანგეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიცვალა. ეს ეხება სამხედრო თანამშრომლობისა და საჰაერო თავდაცვის სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებას. ასეთი ძლიერი მხარდამჭერი პოზიცია რამდენიმე წლის წინ საფრანგეთისაგან არ გამიგია“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

რაც ეხება, გერმანიაში საქართველოს პრეზიდენტის პირველ ოფიციალურ ვიზიტს, სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, საქართველოს გერმანიასთან მრავალწლიანი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს, რომლის განვითარებაც მთლიანად ჩვენს ქვეყნებზეა დამოკიდებული.

„თანადგომა, მხარდაჭერა და მეგობრობა — ასე შეიძლება შეფასდეს საქართველო-გერმანიის ურთიერთობები, რომელიც ასეა დღეს, ასეთი იყო საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის პერიოდშიც და ასე იქნება მომავალშიც“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ევროპული საქართველო“ ეკა ბესელიას საკანონმდებლო ინიციატივას მხარს დაუჭერს

„ევროპული საქართველო“ ეკა ბესელიას და მისი თანაგუნდელების საკანონმდებლო ინიციატივას მხარს უჭერს. ამის შესახებ განცხადება „ევროპული საქართველოს“ წევრმა ელენე ხოშტარიამ გააკეთა.

ელენე ხოშტარია ეკა ბესელიას განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც სასესიო სხდომის დაწყებამდე აღნიშნა, რომ „ევროპული საქართველო“ თავს იკავებს კანონპროექტის მხარდაჭერისგან. ხოშტარიას თქმით, ბესელიას ინიციატივას, რომ პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა 5 წლით გადავადდეს, ისინი მხარს დაუჭერენ.

საკანონმდებლო ორგანოს 5-კაციანი ჯგუფი მართავს

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის ირმა ინაშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტი დაემსგავსა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

„აზრი არ აქვს კანონშემოქმედებით საქმიანობას, არ არის თანამშრომლობა კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიღმა. 5-კაციანი ჯგუფი განაგებს მთლიანად პარლამენტის მენეჯმენტს, ამიტომ ვამბობ, ძალიან დაემსგავსა მოსამართლეთა საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს პარლამენტის მენეჯმენტი, ძალიან დაემსგავსა. შესაბამისად, ვთქვი, რომ არ გამოვრიცხავ, დავაყენოთ ამ მენეჯმენტის ცვლილების საკითხი პარლამენტში,“ — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„საპარტნიორო ფონდს“ მსოფლიოში სიდიდით მესამე „ჩინეთის ბანკის“ პრეზიდენტი ეწვია

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ გიორგი დანელიამ ფონდში მსოფლიოში სიდიდით მესამე „ჩინეთის ბანკის“ პრეზიდეტი ჯონსონ ლინი და ბანკის გენერალური მენეჯერი ადამ ლიუ მიიღო.

ფონდში გამართულ შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ ჯანჯალია და ფონდის ფინანსური დეპარტამენის დირექტორის მოადგილე სოსო მამუკელაშვილი ესწრებოდნენ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე „ჩინეთის ბანკის“ პრეზიდეტს ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე, გააცნო სტრატეგიული მიმართულებები და ის სფეროები, რომლებშიც „საპარტნიორო ფონდი“ საინვესტიციო პროექტებს ახორციელებს.

„ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების საკითხში „საპარტნიორო ფონდი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიც უწყობს ხელს. ის სექტორები, რომლებშიც ფონდი კაპიტალდაბანდებას ახორციელებს „ჩინეთის ბანკისთვისაც“ პრიორიტეტულია. იმედი მაქვს ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება“, — განაცხადა ჯონსონ ლინმა.

გადაიხდის ჯარიმის სახით დაკისრებულ 1 მილიონ ლარს

საქართველოს ეროვნული ბანკი და თიბისი ბანკი ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ

„ბოლო დღეების განმავლობაში დეტალურად ვიხილავდით თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რაზეც გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

თიბისი ბანკის განცხადება

გამომდინარე იქიდან, რომ თიბისი ბანკი ითვალისწინებს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯისთვის შესაძლო ზიანს და პატივს სცემს ეროვნული ბანკის, როგორც კვალიფიციური რეგულატორის როლს და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის ბოლო გადაწყვეტილებები გასაჩივრებული იქნა სასამართლოში, თიბისი ბანკი აცხადებს, რომ განახორციელებს სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რესტრუქტურიზაციას იმდაგვარად, რომ ბანკის დამფუძნებელი აქციონერები არ იქნებიან წარმოდგენილი ს/ს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში. ისინი ინარჩუნებენ TBC Bank Group PLC (თიბისი ბანკის 100%-იანი აქციონერი ლონდონში) დირექტორთა საბჭოში, თავმჯდომარის და მოადგილის პოზიციებს. თიბისი ბანკი წყვეტს სასამართლო დავებს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ და გადაიხდის ეროვნული ბანკის მიერ ჯარიმის სახით დაკისრებულ 1 მილიონ ლარს.

ამასთან, თიბისი ბანკი, ეროვნულ ბანკთან ერთად, აგრძელებს მუშაობას კორპორაციული მართვის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. თიბისი ბანკის კორპორაციული მართვის თემაზე მესამე პირების მხრიდან კითხვების გამორიცხვის მიზნით, თიბისი PLC ჯგუფი მოახდენს ინტერესთა კონფლიქტის ტრანზაქციების, პროცედურების და მართვის პრაქტიკის შესწავლას საერთაშორისო რეპუტაციული კომპანიის მიერ“.

საკითხი ამოწურულია!

ეროვნული ბანკის განცხადება

„საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას. აღნიშნული დადებითად აისახება ბანკის გამჭვირვალობაზე და გაზრდის ნდობას ინვესტორთა მხრიდან, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურ გავლენას იქონიებს როგორც ბანკის, ასევე ქვეყნის საფინანსო სექტორის განვითარებაზე. ეროვნული ბანკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თიბისი ბანკი ქვეყანაში და რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ორგანიზაციაა და დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე აღმასრულებელი მენეჯმენტითა და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებით. თიბისი ბანკი ძლიერი და მდგრადი საკრედიტო ინსტიტუტია და სრულად აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს.

ამასთან, ეროვნული ბანკი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, მისი საზედამხედველო ყურადღების საგანს წარმოადგენდა ინტერესთა კონფლიქტის რისკები და ასევე, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, რომლებიც 2007-2008 წლების ტრანზაქციებს უკავშირდება. ეროვნული ბანკი, თავის უფლებამოსილების ფარგლებში, აგრძელებს თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს. ამით ორივე მხრიდან ეს კონკრეტული საკითხი ამოწურულია. მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ აღნიშნულ თემებზე სპეკულაციებისგან“!

მამუკა ხაზარაძე „თიბისი ბანკიდან“ წავიდა!

მივიღე გადაწყვეტილება, წავიდე ბანკიდან, სადაც ჩემი ცხოვრების 27 წელი გავატარე, — ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე FACEBOOK-ის საკუთარ გვერდზე წერს.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ 27 წლის განმავლობაში გაწეული მეგობრობისთვის, თანადგომისთვის და ერთად გაკეთებული საქმეებისთვის.

ცხოვრებაში დგება ეტაპები, როცა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებ, მეც ბევრჯერ მქონია ასეთი, ახლაც ამ შემთხვევასთან მაქვს საქმე.

აღარ განვმეორდები, თუ როგორი შეტევის ქვეშ იმყოფება ჩვენი ჯუფი, ბანკი. შედეგად, ჩვენმა საერთაშორისო აქციონერებმა ერთ თვეში 200 მილიონი დოლარის ზარალი მიიღეს, შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამაც სერიოზულად იზარალა. ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მოგვაყენეს სერიოზული რეპუტაციული ზიანი ფულის გათეთრების აბსურდულ საკითხთან — ვითომდა, კავშირში, რომლის არარსებობა საერთაშორისო დონეზეა დამტკიცებული.

სამწუხაროდ, არცერთ სახელმწიფო მოხელეს არ გამოუთქვამს სურვილი, პრემიერის და მისი მინისტრების ჩათვლით, შეგვხვედროდნენ და პირადად დაინტერესებულიყვნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმით როგორც ჩვენი გუნდისთვის, ისე ჩვენი ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანს პირადად მივწერე და შესაბამისი დოკუმენტებიც გადავუგზავნე გასაცნობად, პასუხი არავისგან მოსულა. სამაგიეროდ, მოვისმინე მათი ბევრი კომენტარი საჯარო სივრცეში.

მე მივხვდი, რომ მიზანი ჩემი დისკრედიტაციაა, იმასაც მივხვდი, რომ აქ, ჩვენთან, წარმატებას ებრძვიან, მივხვდი, რომ კომპანიის ზრდას საქართველოში ლიმიტი უნდა ჰქონდეს დაწესებული.

ჩემზე ასეთი თავდასხმა პირდაპირ აისახება ჩვენი ბანკის რეპუტაციაზე. ბანკი, არ შეიძლება ხანგრძლივ სასამართლო დავაში იყოს თავის რეგულატორთან, მითუმეტეს თუ ეს უკანასკნელი არაა თავისუფალი თავის გადაწყვეტილებებში, მიუხედავად მისი კანონით მინიჭებული მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობისა.

დღეს ლონდონში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწვეტილება ეროვნულ ბანკთან სამართლებრივი დავის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მხოლოდ და მხოლოდ ბანკის, მისი აქციონერების და დეპოზიტარების ინტერესებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, მე მივიღე გადაწყვეტილება წავიდე ბანკიდან, სადაც ჩემი ცხოვრების 27 წელი გავატარე, ბანკიდან, რომელიც 500 დოლარიდან რეგიონის უმსხვილეს მოთამაშედ ვაქციე ჩემს გუნდთან ერთად.

იმედია, ეს გადაწყვეტილება დადებითად იმოქმედებს ბანკის მომავალ სტაბილურ და მშვიდ გარემოში განვითარებაზე, მე კი მთელ ჩემს ენერგიას ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს — ანაკლიის პროექტის განხორციელებას მივუძღვნი. იმედია, დამცალდება საქმის ბოლომდე მიყვანა.

სამშაბათს, როგორც დავპირდი პარლამენტს და საზოგადოებას, ვიქნები კომიტეტის მოსმენაზე, რათა მშვიდად განვიხილო და გავაცნო საქმის დეტალები პარლამენტარებს და საზოგადოებას.

ამავე დროს, დამოუკიდებლად გავაგრძელებ ჩემი უფლებების სამართლებრივ დაცვას სასამართლო წესით, როგორც კერძო პირი საქართველოში და უცხოეთში“ — წერს ხაზარაძე საკუთარ გვერდზე.

◎ მკითხველი გვეკითხება

ვინ მოვიხსენიოთ აკადემიკოსად?

— ძვირფასო რედაქცია, მოგეხსენებათ, „საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის ერთადერთი გაზეთია ჩვენს დღევანდელობაში, რომლის კარიც მუდამ ღიაა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის, მათი მიღწევების პოპულარიზაციისათვის. ამისი საუკეთესო მაგალითია ჩვენი ერთგულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისადმი. უკანასკნელ წლებში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პატივცემული ავტორი თავს „აკადემიკოსის“ ტიტულით წარმოგვიდგენს, ან სხვას მოიხსენიებს ამავე წოდებით. ჩვენ შეგვიმოწმებია კიდეც კონკრეტული პირის არსებობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში და აღმოჩენილა, რომ საძიებელი პიროვნება რომელიღაც კერძო აკადემიის წევრია და არა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა. იძნებ განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ახლდეს პიროვნების დასახელებას „აკადემიკოსის“ ტიტული?

ამ კითხვაზე ჩვენს მკითხველს უპასუხებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული**:

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობამ და პოლიტიკურმა თავისუფლებამ მრავალგვარი კერძო ინიციატივის რეალიზაციის შესაძლებლობა შექმნა. ასე წარმოიშვა ბევრი კერძო სტრუქტურა, ნაირგვარი საზოგადოებები და ინფორმაციის საშუალებები. ამანვე გამოიწვია არაერთი კერძო სასწავლო თუ სამეცნიერო ორგანიზაციის წარმოქმნაც. განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ ბევრი ამგვარი წარმონაქმნი სულაც არ შეეფერებოდა სახელწოდებითა და წესდებით განსაზღვრულ დონესა და ფუნქციებს; ზოგის არსებობა კი საკმაოდ დღემოკლე გამოდგა. მაგრამ ამ თვითაღიარებულმა ორგანიზაციებმა ამასობაში არაერთ სწავლულს მიანიჭეს არცთუ თანაზომადი წოდება და ტიტული (ისევე, როგორც ბევრ სხვა სფეროში მოხდა წოდებათა „დარიგება“)...

რაც მთავარია, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ამ თვალსაზრისით შექმნილმა ვითარებამ სათანადო რეაგირება მოითხოვა და 2007 წელს მიღებულმა კანონმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ გამოკვეთილად ასახა შესაბამისი ნორმატიული შეზღუდვა (ამ კანონის თავი II, 3.5): **„დაუშვებელია, საქართველოში სხვა რომელიმე აკადემიის წევრი იწოდებოდეს აკადემიკოსად ან წევრ-კორესპონდენტად ან აკადემიის წევრად კონკრეტული აკადემიის სრული სახელწოდების მითითების გარეშე, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა“.**

ანალოგიისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ის განსხვავება, რაც არსებობს უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი წარმოდგენის ძველსა და ახალ წესებს შორის. ტრადიციულად, ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის დოქტორის სამეცნიერო წოდებაც და პროფესორის აკადემიური წოდებაც პიროვნებას ენიჭებოდა ცენტრალიზებული წესით, სახელმწიფოს მიერ და ამ ტიტულებით იგი მოიხსენიებოდა კონკრეტულ უნივერსიტეტზე მიუთითებლად; დღევანდელი სისტემით კი აკადემიური დოქტორის წოდებასა და სხვადასხვა კატეგორიის პროფესორის თანამდებობას პიროვნებას ანიჭებს კონკრეტული უნივერსიტეტი და ამგვარი ტიტულატურით პიროვნების დასახელების დროს შესაბამასი დაწესებულების მითითებაც აუცილებელია.

დაბოლოს, მოგახსენებთ, რომ ამ დროისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში 65 ნამდვილი წევრია. კანონის თანახმად, სწორედ მხოლოდ ისინი შეიძლება რომ მოვიხსენიოთ აკადემიკოსებად, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე.

— გმადლობთ, ბატონო ავთანდილ. ამ განმარტების შემდეგ, იმედია, საქართველოში დღეს ასე მომრავლებული ამბიციური „აკადემიკოსები“ მოერიდებიან არცთუ მოსაწონ თვითგანდიდებას.

ჩაიწერა
გიორგი ქოგულაძემ

თიბისი ბანკს ბადრი ჯაფარიძეც ტოვებს

მამუკა ხაზარაძესთან ერთად თიბისი ბანკს ბადრი ჯაფარიძეც ტოვებს. ორივე მათგანი თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან მიდის:

„გამომდინარე იქიდან, რომ თიბისი ბანკი ითვალისწინებს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯისთვის შესაძლო ზიანს და პატივს სცემს ეროვნული ბანკის, როგორც კვალიფიციური რეგულატორის როლს და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის ბოლო გადაწყვეტილებები გასაჩივრებული იქნა სასამართლოში, თიბისი ბანკი აცხადებს, რომ განახორციელებს სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რესტრუქტურიზაციას იმდაგვარად, რომ ბანკის დამფუძნებელი აქციონერები არ იქნებიან წარმოდგენილი ს/ს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში. ისინი ინარჩუნებენ TBC Bank Group PLC (თიბისი ბანკის 100% იანი აქციონერი ლონდონში) დირექტორთა საბჭოში, თავმჯდომარის და მოადგილის პოზიციებს. თიბისი ბანკი წყვეტს სასამართლო დავებს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ და გადაიხდის ეროვნული ბანკის მიერ ჯარიმის სახით დაკისრებულ 1 მილიონ ლარს.

ამასთან, თიბისი ბანკი, ეროვნულ ბანკთან ერთად, აგრძელებს მუშაობას კორპორაციული მართვის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. თიბისი ბანკის კორპორაციული მართვის თემაზე მესამე პირების მხრიდან კითხვების გამორიცხვის მიზნით, თიბისი PLC ჯგუფი მოახდენს ინტერესთა კონფლიქტის ტრანზაქციების, პროცედურების და მართვის პრაქტიკის შესწავლას საერთაშორისო რეპუტაციული კომპანიის მიერ“, — ნათქვამია განცხადებაში.

გიორგი ცუცქირიძე: მამუკა ხაზარაძის დღევანდელი გადაწყვეტილება უკან დახევას ნიშნავს

საბანკო-საფინანსო ექსპერტი **გიორგი ცუცქირიძე** მამუკა ხაზარაძის გადაწყვეტილებას აფასებს და აცხადებს, რომ ხაზარაძემ უკან დაიხია.

„ბოლო პერიოდში ჩვენ ვნახეთ, რომ პროცესი მიდიოდა ღია პოლიტიკურ მხარეს, რომელიც ბანკის საქმიანობაზე ცუდად აისახებოდა. სწორედ ეს არის ყველაზე მიუღებელი ფორმა, როცა დავა მიმდინარეობს სამართალდამცავ ორგანოებს და კომერციულ ბანკს შორის ამა თუ იმ ოპერაციაზე, საერთაშორისო პრაქტიკით რომ ვთქვათ, ყველა ეს დავა, რეზონანსული თუ ნაკლებრეზონანსული არ გასცდენია სამართლებრივ ჩარჩოებს. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი საკითხი და მათ შორის ეს საკითხიც გადავიდა პოლიტიკურ მხარეს. ამიტომ მამუკა ხაზარაძის წასვლა ბანკიდან არის უკან დახევა, ბანკისთვის იმ რისკების თავიდან აცილებაც, რაც შეიძლება მომხდარიყო. მთავარი არის პროცესი იყოს წმინდა სამართლებრივ ჩარჩოებში. პროცესის პოლიტიზირება და ის განცხადებები, რაც კეთდება ოპოზიციისა და გულშემატკივრების მხრიდან პოლიტიკურ დევნაზე და ა.შ. არის ყოვლად მიუღებელი და პროცესის დამზიანებელი. რაც ნაკლები ასეთი განცხადება გაკეთდება თავად მამუკა ხაზარაძის მხრიდანაც და თავის უფლებებს დაიცავს სამართლებრივად კარგი იქნება მისთვისაც, ბანკისთვისაც და ზოგადად ფინანსური სისტემისთვისაც“, — აცხადებს საბანკო-საფინასო სფეროს ექსპერტი გიორგი ცუცქირიძე.

სოხუმისა და ცხინვალის უდარდელი ცხოვრება მოსკოვს უფრო და უფრო ძვირი უჯდება

„ორი უღიარებელი „სახელმწიფოს“ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებმა 2019 წლის ბიუჯეტები დაამტკიცეს. შემოსავლების „ლომის წილი“ რუსეთის ბიუჯეტიდან გადარიცხვებითაა უზრუნველყოფილი: მოსკოვიდან სოხუმი და ცხინვალი 12 მილიარდ რუბლს მიიღებენ, მაგრამ... რუსეთში ასეთი „ხელგაშლილობით“ უკმაყოფილოთა რიცხვი მატულობს“-ნათქვამია რუსული გამოცემის, „Свободная пресса“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო პორტალი REGION.GE გვთავაზობს ანტონ ჩაბლინის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

ცხინვალი შარშანდელთან შედარებით 855 მილიონით მეტს მიიღებს

სამხრეთ ოსეთის 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა, 8,7 მილიარდ რუბლს შეადგენს, რომლიდანაც 7,5 მილიარდი რუსეთის ფედერაციისაგან გაწეულ „უანგარო დახმარებას“ წარმოადგენს. თუ გასული წლის მონაცემებს შევადარებთ — 2018 წელს სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტმა რუსეთისაგან 6,6 მილიარდი რუბლი მიიღო — გამოდის, რომ 2019 წელს „უანგარო დახმარება“ 855 მილიონით მეტია. თანაც გასულ წელს თუ ცხინვალის ბიუჯეტი დეფიციტური იყო, ახლა უკვე ნულზე“ ჯდება, ანუ ხარჯები იმდენია, რამდენიც შემოსავლები. რუსეთის მიერ (ნაჩუქარი) ფულიდან თითქმის 4,7 მილიარდი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მოხმარდება, ხოლო 2,8 მილიარდი — ბიუჯეტურ ინვესტიციებს. ეს ხარჯები გათვალისწინებულია „საინვესტიციო პროგრამით“, რომელსაც რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის საქმეთა სამინისტრო კურირებს. გავიხსენოთ, რომ ამ უწყებას გასული წლიდან სერგეი ჩებოტაროვი ხელმძღვანელობს, რომელიც მშვენივრად იცნობს ამიერკავკასიის ქვეყნებს წინა თანამდებობიდან: იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეგიონთაშორისი და საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების სამმართველოში მუშაობდა და ურთიერთობა უხდებოდა აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, სომხეთთან, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან.

იანვრის ბოლოს სამინისტროს ხელმძღვანელები ცხინვალში ჩავიდნენ და სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრთან ერიკ ფუხაევთან ერთად იმ ახალი სამწლიანი „საინვესტიციო პროგრამის“ ირგვლივ იმსჯელეს, რომელიც 2020-2022 წლებში უნდა განხორციელდეს. ინვესტიციის კონკრეტული თანხა ჯერჯერობით უცნობია.

აფხაზეთი: ოთხნახევარი მილიარდი რუბლი საჩუქრად

აფხაზეთის რესპუბლიკის 2019 წლის ბიუჯეტი, რომელიც პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ დაამტკიცა, 9,8 მილიარდ რუბლს შეადგენს. ეს ცოტა მეტია, ვიდრე გასულ წელს, თუმცა ბიუჯეტი შარშანაც დეფიციტური იყო და მიმდინარე წელსაც ასეთივე დარჩა.

შემოსავლებიდან 4,4 მილიარდი რუბლი რუსეთის „უანგარო დახმარებას“ წარმოადგენს, რაც შარშან გაწეულთან შედარებით უმნიშვნელოდ მეტია, ანუ სამხრეთ ოსეთივით შესამჩნევად გაზრდილი არაა. რაც შეეხება „საინვესტიციო პროგრამებს“: 736 მლნ. რუბლი კომუნალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაზე დაიხარჯება, 457 მილიონი — გაგრის საკურორტო-ტურისტული ცენტრის განვითარებაზე, 148 მილიონი — ტყვარჩელის საავადმყოფოს რეკონსტრუქციაზე და 122 მილიონი — გაგრის №1 საშუალო სკოლის მშენებლობაზე.

იხ. 5 გვ.

კონსტიტუციის დებულებებს ეწინააღმდეგება

უვადო მოსამართლედ ყოფნის სევდა

უვადო მოსამართლეების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, ერთი შეხედვით, ჩაცხრა (როგორც ქართულ საზოგადოებას სჩვევია), მაგრამ დაძაბულობა, რომელიც მმართველ გუნდში წარმოიქმნა, ყოველდღე ახალ-ახალ ფორმას იღებს და „წერტილოვანი დარტყმების“ სახით სხვადასხვა მედიასაშუალებების მეშვეობით ვრცელდება.

ბოლო განცხადება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ გუშინწინ გაავრცელა რომელშიც ნათქვამია, რომ პარტიის თავმჯდომარისა და მმართველი გუნდის მიერ გამოითქვა მზადყოფნა, კონსტიტუციურ ფარგლებში ემსჯელა მოსამართლეთა უვადო დანიშვნის საკითხზე. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ცალკეული წევრების მიერ, საკუთარ გუნდთან შეუთანხმებლად, მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებს. პარტიის პოლიტსაბჭოს ინფორმაციით, ეს კანონპროექტი ვერ მიიღებს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას.

„საჯარო სივრცეში გრძელდება სასამართლოს საკითხთან დაკავშირებული აქტიური დისკუსია. მმართველმა გუნდმა, რომელიც ყოველთვის უსმენს საკუთარ საზოგადოებას, ამ დისკუსიის ფონზე იმთავითვე მიიღო გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების არჩევის გადავადების თაობაზე. ამასთან, დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, დაიწყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცედურისა და კრიტერიუმების შემუშავება. დაიდო პირობა, რომ კანდიდატები ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, ინდივიდუალური და თავისუფალი კენჭისყრის შედეგად დაიკავებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას. უზრუნველყოფილი იქნება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა იუსტიციის საბჭოს მიერ ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, აგრეთვე ანალოგიური ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე ჩატარდება მათი არჩევა საქართველოს პარლამენტში. მიუხედავად მმართველი გუნდის ამგვარი მიდგომისა, აღნიშნული დისკუსია, სამწუხაროდ, ხშირად, არაჯანსაღ ხასიათს იძენს.

. . . . .

ამავდროულად, ვაცხადებთ სრულ მზაობას, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, მოვამზადოთ იმგვარი წინადადებები მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხზე, რომლებიც იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან და ევროსაბჭოს რეკომენდაციებთან, აგრეთვე არ გააღრმავებს პრობლემას სასამართლოს გადატვირთულობის თვალსაზრისით. ამ მიზნით, მივმართავთ ვენეციის კომისიას, ინიციატივის შემუშავების საწყის ეტაპზევე ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში.

. . . .

მმართველი გუნდი იმოქმედებს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და შექმნის ყველა პირობას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების უზრუნველსაყოფად“, — ნათქვამია განცხადებაში.

კი ბატონო. შესანიშნავი განცხადებაა და წესით უკვე მშვიდად უნდა დავიძინოთ, მაგრამ . . . (არა რა, ეს „მაგრამ“ რომ არ გამოეკვეხოს, არ შეუძლია).

სამწუხაროდ, მშვიდად ვერ დავიძინებ. ვერ დავიძინებ, რადგანაც არის რამდენიმე ნიუანსი, რომლებიც არც თუ ისე ამაღლებულ განწყობაზე მაყენებს.

პირველი და უმთავრესი სასამართლო რეფორმის პროცესში ჩართული „დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი“ მაშფოთებს. საოცარია, მაგრამ **ჩვენს საერთაშორისო პარტნიორების — ევროსაბჭოს ოფისის, აშშ-ის საელჩოს, ევროკავშირის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლების** ჩართულობის ფონზე ძალიან ამაზრზენია „ბროკოლიჭამიების“ აქტიურობა. ნაცები, ევრონაცები, „გავლენიანი არასამთავრობოები“ და იმათ გვირგვინად აღმოცენებული სარეკლამო რგოლი, ვინმე ლაშა ბუღაძის მოწოდებით იმის შესახებ, რომ სასამართლო სისტემა აუცილებლად უნდა გაჯანსაღდეს.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ზუსტად შეეფერება პოლიტსაბჭოს განცხადებას.

მოვუწოდებთ ყველას, ვინც რეალურად არის დაინტერესებული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმტკიცებით, მისი ეფექტიანობის გაზრდითა და სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებით, ღიად და კონსტრუქციულად ჩაერთონ რეფორმის მეოთხე ტალღის შესახებ დისკუსიაში, რომელმაც 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვრის, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცება უნდა უზრუნველყოს.

კი, ბატონო, მოგვიწოდებთ, მაგრამ როგორ ჩავერთოთ? (მე „პას“, მაგრამ საკმაოდ ბევრი ხალხია, ვისაც აქვს ცოდნაც და გამოცდილებაც — მონაწილეობა მიიღონ ამ უაღრესად აუცილებელი და საჭირბოროტო საკითხის განხილვაში, მაგრამ ყველა ადგილი ფაქტობრივად დაკავებულია. ამ ქარაქუცების გამო, რომლებიც ყველგან წინ მიძვრებიან, ნორმალური ხალხის ადგილი აღარ რჩება. ხელისუფლება კი იმის ნაცვლად თავად უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის შექმნა, ლაშა ბუღაძის სარეკლამო რგოლის იმედზეა.

სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ქმედებით სურთ შექმნან ნიჰილიზმის განწყობა. სურთ, რომ ხალხმა ჩაილაპარაკოს — ეჰ, ჩვენ რა შეგვიძლიაო, და პროცესი მათს ნებაზე წავიდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გადაცემა „რეაქციის“ ეთერში მოსამართლეების შესახებ ისაუბრა. ირაკლი კობახიძის განცხადებით, ის მოსამართლეები, რომელთა მიმართ დღეს პროტესტი არსებობს, ყოფილი ხელისუფლების პირობებში იყვნენ ზურაბ ადეიშვილის ზეწოლის ქვეშ და მისივე სიტყვებით „ცუდ რაღაცებს სჩადიოდნენ“, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეიცვალა სისტემა შემადგენლობის გარეშე და მოიხსნა წნეხი, რომლის შემდეგაც ეს მოსამართლეები უკვე კარგ რაღაცებს სჩადიან.

„2012 წლამდე სასამართლო სისტემა იყო უვარგისი, ადეიშვილი რასაც ეტყოდა, იმას აკეთებდნენ. ადრე იყო მილიონი ცუდი საქმე, ახლა არ არის არც ერთი ასეთი საქმე და ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა სისტემა, შემადგენლობის ცვლილების გარეშე და ადამიანები, რომლებიც მასობრივად სჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა კარგ რაღაცებს სჩადიან“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

დამერწმუნეთ რომ ჯეფრი ლოურენსი, ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მოსამართლე საფლავში ბრუნავს, გერინგმა და ჰიმლერმა აღფრთოვანების ნიშნად ტაში დასცხეს და ჩაილაპარაკეს — ეჰ, ნეტა ასეთი „გამპრავებელი“ ჩვენც გვყოლოდაო!

საზოგადოების დიდი ნაწილი და პირადად მე, მსგავს მგრძნობიარე პროცესებს მკაცრი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე აღვიქვამთ.

„ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“ — აი, ეს უნდა იყოს სახელმწიფოს უმთავრესი მოთხოვნა. შეიძლება, კონკრეტული ადამიანების შემთხვევაში იყოს რაღაც დასაშვები, მაგრამ სახელმწიფოზე როცა ვამბობ, ეგ მაქვს მთავარ პრინციპად. მე რომ ვიყავი დამნაშავე, ვიჯექი ციხეში და მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც სხვა ბევრ კარგ რამეს ვაკეთებდი, ამ პრინციპით ჩემს თავსაც არ ვუყურებდი. დავაშავე — მორჩა.

ჩნდება შეკითხვა — ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება 300 მცოდნე იურისტი, ისეთ ასაკში, როცა ცოდნასთან ერთად ექნებათ სასამართლო სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება? (არ არის სავალდებული კონკრეტულად მოსამართლედ მუშაობის. მთავარია, რომ ინტენსიური კავშირი ჰქონოდა სასამართლო სისტემასთან)?

არ მომწონს უვადოდ დანიშვნისთვის საქართველოს მზადყოფნა და საჭიროება. საქართველოში დღეს სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება ისეთი სირთულის საქმეები, რომლებიც მოსამართლისგან უუსასწაულესკვალიფიკაციას მოითხოვდეს.

ალბათ, არსებობს დანაშაულების სტატისტიკა, რომლებიც დარწმუნებული ვარ, რომ უმეტეს შემთხვევაში 177, 260, 261 (ქურდობა, ნარკოტიკების შეძენა, შენახვა, მოხმარება) და კიდევ რამდენიმე მუხლი იქნება.

არ შეიძლება ტრაგედიის შექმნა იმისგან, რომ იმ თუნდაც 300-ივე „ძველი“ მოსამართლის გაშვება (და დარწმუნებული ვარ, რომ ე.წ. „რიგითი“ მოსამართლეები, რომლებსაც შეხება არ ჰქონდათ წინა რეჟიმის სასამართლო სისტემასთან), რაიმე უფსკრულს შექმნის.

საკითხი ნამდვილად არ არის ძალიან ტრაგიკულად. ნამდვილად არ არის ისე, როგორც სხვადასხვა ჯგუფების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს. არადა მედიიდან თავს დატეხილმა განცხადებებმა, კუკარაჩასადმი მიწერილი განცხადება გამახსენა:

„მოგახსენებთ, რომ ჩვენს ეზოში ცხოვრობს და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა (პაპიროსსაც) ინგა ლალიაშვილი. ღამის ორ და ხანდახან ოთხ საათზე მისი ოთახიდან ისმის ჭიქების ჭახაჭუხი, უწმაწური სიტყვები და სიმღერები. მას ინტიმური კავშირი აქვს მრავალგზის ნასამართლებ ვინმე მურტალოსთან (ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია). გვრცხვენია, მაგრამ საქმის საჭიროების გამო ვასახელებთ იმ უწმაწურ სიტყვებსა და სიმღერებს, რომლებიც გვესმის ამ გარყვნილების ბუდიდან. სიტყვები: ბოზი, ჩათლახი, ნაბიჭვარი, ვირიშვილი, ყომარი, დურა, ატანდა, პლეტი, ხოში, ბითური და სხვ.

სიმღერები: პარახოდმა ბათუმისკენ გასწია, ვოი ბიჭმა ჩემოდანი ასწია...

შე ვირიშვილო სუდია, რა დაგიშავე ცუდია.

ჰოპ, სტოპ, ზოია...

გთხოვთ ჩვენ თუ არა, ჩვენი მომავალი (ბავშვები) მაინც იხსენით გახრწნისა და გათახსირებისაგან“.

განცხადებას რვა კაცი აწერდა ხელს, იმათგან ერთი წითელი ფანქრით.

„ამის დაწერილია“, გაიფიქრა კუკარაჩამ და გაელიმა...

ყოფილი ბოზისგან დაწერილ ამ პატარა განცხადებაში ისე ზუსტადაა აღწერილი დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა (პაპიროსის მოწევიდან დაწყებული ვირიშვილი მოსამართლეებით დამთავრებული), რომ ვერცერთი ტელესიუჟეტი და ვერცერთი სტატია ვერ შეძლებს.

მოკლედ რომ ვთქვა, უვადო მოსამართლედ ყოფნის სევდა ძალიან მიმზიდველია. მიმზიდველია არა მხოლოდ კანდიდატებისთვის, არამედ ხელისუფლებისთვის, ე.წ. ოპოზიციისთვის და ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ანუ ყველა იმ ჯგუფისთვის, ვისაც ქვეყნის მუჭუჭობაზე პრეტენზია აქვს.

არადა ხალხი, რომლსაც ეს „სევდა“ უმძიმესად დააწვება, ფაქტობრივად მოწყვეტილია აქტიურ პროცესებს და სრულად უგულებელყოფილია.

მგონი, დროა, რომ სწორედ ხალხი, საზოგადოება გამოვიდეს სევდიანი აპათიის მდგომარეობიდან და თავისი სიტყვა თქვას ისეთი უაღრესად საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში, რასაც სასამართლო სისტემა ჰქვია.

გია გაბრიჭიძე

ლიეტუვა თითქმის მოსამართლეებისა და ადვოკატების გარეშე დარჩა

ლიეტუვაში ანტიკორუფციული ღონისძიებების ფარგლებში, 26 ადამიანი, მათ შორის 8 მაღალი თანამდებობის მოსამართლე და 5 ადვოკატი დააკავეს.

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის ზიდრუნას ბატრკუს მტკიცებით, მოსამართლეები და ადვოკატები ღრმად იყვნენ ჩაფლული კორუფციაში და არსებობს მტკიცებულებები, თუ როგორ იღებდნენ ქრთამს (1000-დან 100 ათას ევრომდე), რათა ზეგავლენა მოეხდინათ ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

გენერალური პროკურორის ედვინას პასილისის თქმით, შეეცდებიან ამ მოსამართლეების მიერ გამოტანილ განაჩენებს გადახედონ.

როგორც ცნობილია დაკავებული მოსამართლეები ქვეყნის უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებში მუშაობდნენ. „ხელშეუხებლობის დრო დამთავრდა, ყველამ უნდა ისწავლოს ამ მაგალითით“, — გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს ლიეტუვის პრემიერ-მინისტრი საულიუს სკვერნელისი.

ᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲡ?

ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲝᲡᲘ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ასე, მაგალითად, „სომეხი ხალხის გენოციდის აღიარების“ ნაწილში ამ იდეის სულისჩამდგმელებს, შეიძლება, ითქვას, უკვე **შთამბეჭდავი შედეგები** აქვთ: „სომხების გენოციდი“ უკვე აღიარეს საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, ბელგიამ, შვედეთმა, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ, საბერძნეთმა, კვიპროსმა, სლოვაკეთმა, არგენტინამ, ვენესუელამ, კანადამ, ვატიკანმა, ავსტრალიამ, აშშ-ის 40-ზე მეტმა შტატმა, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში სომხების გენოციდის უარყოფისთვის აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

„არცახის დამოუკიდებლობის“ მსოფლიო აღიარების საკითხში მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ასეთთან მიახლოებულიც კი არ არის, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით. ამის გათვალისწინებით, სომეხი სეპარატისტების მხრიდან „სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარებაში დახმარების“ დაპირება, ცოტა არ იყოს, უხერხულად ჟღერს. თუმცა ის, რომ მსოფლიოში სომხურ დიასპორებს (სამწუხაროდ, ქართულისგან განსხვავებით) დიდი ძალა აქვთ, მათ უკვე არაერთგზის დამტკიცეს.

რაც შეეხება ზოგ წინმსწრებ მოვლენას, რაც ზემოთ ვახსენეთ, აქ მხოლოდ ორ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას:

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში რესტავრირებული ძეგლის გახსნის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი, რაც დღემდე არ ცხრება;
- სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ მედიაში გავრცელებული კადრები, რომელიც, სომხური და ზოგი რუსულენოვანი გამოცემის მტკიცებით, თბილისის სომხური ეკლესიის ეზოში აზერბაიჯანელების ბილწსიტყვაობასა და სომხური დროშის დაწვას **ასახავს**.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტებზე მიანიშნა და „გარე სენსიტიური საკითხების, პრობლემების ერთგვარად შიდა კონტექსტში, ჩვენს ეთნოსებს შორის ურთიერთობებში შემოტანის ცალკეულ მცდელობებად“ შეაფასა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **ქეთევან ციხელაშვილმა**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს მიუღებელია ქვეყანაში მცხოვრები როგორც აზერბაიჯანული, ისე სომხური მოსახლეობისთვის“ .

კავკასიოლოგ **გელა ხმალაძისთვის** ცხინვალის ოკუპირებული რეგიონისა და არაღიარებული მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო რეჟიმების ურთიერთობა „სახელმწიფოებრიობანას თამაშს“ წააგავს. ამავე კონტექსტში განიხილავს იგი დე ფაქტო პრეზიდენტ ბიბილოვის დაპირებასაც „სომხურ-ოსური მეგობრობის სიმბოლოდ ცხინვალში სომხური ჯვრის აღმართვის“ შესახებ.

„ეს ერთგვარი პიარია, ვითომ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, რათა „დაუმტკიცონ“ მეზობლებს, თითქოს დამოუკიდებელი სუბიექტები არიან და დამოუკიდებლად ამყარებენ საგარეო ურთიერთობებს. ცხადია, რუსეთის სანქცირების გარეშე ნაბიჯს ვერ დგამენ“, — ამბობს **„აქცენტთან“** საუბრისას კავკასიოლოგი.

ამასთან, ხმალაძე სომხეთის პასუხისმგებლობაზეც ამახვილებს ყურადღებას:

„მაინც ვფიქრობ, რომ აქ სომხეთის პასუხისმგებლობაც არის. გასაგებია, რომ აქ მუშაობს რუსეთის ფაქტორი, მაგრამ სომხეთსაც დიდი გავლენა აქვს ყარაბაღის ხელისუფლებაზე. თავად კი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ არანაირ გავლენას არ ახდენს ყარაბაღზე, რათა ის საქართველოს ნაწილებთან პირდაპირ კონტაქტზე არ გავიდეს. არადა, სომხეთს ამის ბერკეტები ნამდვილად აქვს. ამდენად, სომხეთის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში ორმაგ თამაშს აქვს ადგილი და საქართველოს შეუძლია, ამასთან დაკავშირებით ერევანს პრეტენზია თამამად წაუყენოს“.

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტის **გიორგი გობრონიძის** შეფასებით კი, „ეს თემები რუსეთს სჭირდება და გასაგებია, რატომაც“.

„როგორც კი ფაშინიანი სომხეთის ხელისუფლებაში მოვიდა, გასაგებად თქვა, რომ „სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობებიდან უნდა გამოირიცხოს დიდი სახელმწიფოების ინტერესები, შესაბამისად, უნდა მოხდეს ორი სახელმწიფოს ორმხრივი კავშირების წარმართვა სწორედ ისე, როგორც ამ ორი სახელმწიფოს ინტერესებში და დღის წესრიგშია, დიდი პოლიტიკური კონტექსტის გარეშე“. სომხურ-ქართული ურთიერთობების ამგვარი ნორმალიზება სომხეთისთვის დეიზოლაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. მოგეხსენებათ, სომხეთი 1993 წლიდან პრაქტიკულად იზოლაციაშია. საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა სომხეთს დღეს ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ცხადია, ამით ნაკლებად არის დაინტერესებული მოსკოვი: რაც მეტი იქნება კონფრონტაცია კავკასიაში, მით უფრო ადვილად შეძლებს იგი საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის დაცვასა და გატარებას. ამდენად, მთლიანობაში, ეს არის მოსკოვის მორიგი პროვოკაციული მცდელობები, დაძაბოს ურთიერთობები საქართველოსა და სომხებს შორის“, — განუცხადა **„აქცენტს“** ანალიტიკოსმა.

გობრონიძე იხსენებს, რომ მსგავსი მცდელობები რუსეთს წარსულშიც არაერთხელ ჰქონია:

„მოსკოვს სურდა, ჯავახეთში ვითარება გართულებულიყო; საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაძაბულიყო მდგომარეობა. ეს სურვილები ახლაც აქვს. შეიძლება, ვაჭარბებდე, მაგრამ ვფიქრობ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მოვლენები, რომლებიც ახალქალაქში ძეგლთან დაკავშირებით განვითარდა. ეს ძეგლი მანამდეც არსებობდა, მაგრამ უცებ დაიწყო საოცარი აფიშირება იმისა, რომ „ყარაბაღში დაღუპული გმირის ძეგლიაო“. შემდეგ დაიწყო აზერბაიჯანის მხრიდან ამაზე საუბრები. საბოლოო ჯამში, ეს რეგიონში საქართველოსა და სომხეთის პოზიციების დასუსტებას ემსახურება“.

რაც შეეხება სომხური დიასპორის გამოყენებას „სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების მიღწევაში“, ანალიტიკოსის აზრით, აქ დიასპორის შესაძლებლობები გადაჭარბებულად არის შეფასებული:

„ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ იტალიაში „წარმომადგენლობა“ აქვს გახსნილი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამას მისი აღიარების ან არაღიარების თვალსაზრისით, არაფერი მოუტანია. ყველამ კარგად იცის, რომ ცხინვალის რეგიონი ოკუპირებული ტერიტორიაა ყველა თანამდევი ეფექტით. რაც შეეხება სომხურ ლობის, ვრცელდება მითები მისი განუზომლად დიდი შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, ჯერ ერთი, ეს ასე არ არის და მეორეც — ნაკლებ სავარაუდოა, სომხურმა დიასპორამ გადადგას იმგვარი ნაბიჯები, რომელიც სომხეთის სახელმწიფო ინტერესებს დააზიანებს. გარდა ამისა, მთიანი ყარაბაღი ცხინვალს დაეხმაროს კი არა, თავად არ არის აღიარებული. ამდენად, ეს არის მორიგი დაპირება იმისთვის, რომ სეპარატისტებს ჰქონდეთ ილუზია, თითქოს ვიღაც ზრუნავს მათი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაზე“, — დარწმუნებულია გობრონიძე.

თავის მხრივ, სომეხი პოლიტოლოგი **გაგიკ ავაკიანი,** რომელიც ე.წ. „არცახის“ დელეგაციის ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ვიზიტს აფასებს, თვლის, რომ ამ „გეგმიური სამუშაო ვიზიტისგან არანაირ გარღვევას არ უნდა ველოდოთ“ და რომ მის მიზანს მხოლოდ და მხოლოდ „მეგობრული ურთიერთობების განვითარების მზადყოფნის დემონსტრირება“ წარმოადგენდა.

ამასთან, იგი ვერ ხედავს რისკს, მსგავსმა ურთიერთობებმა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში „არცახის“ დელეგაციის ვიზიტმა, რომელიც ტვირთბრუნვის მონიტორინგის შესახებ რუსეთ-საქართველოს 2011 წლის ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი სამმხრივი (საქართველო, რუსეთი, შვეიცარია) სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომის დასრულებიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა, დამატებითი პრობლემები შეუქმნას ოფიციალური ერევნის სწრაფვას, სომხეთის ე.წ. ბლოკადიდან გამოსაყვანად ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის გავლით დამატებითი სატრანზიტო დერეფანი გაიხსნას:

— შეიქმნა განცდა, რომ ეს ვიზიტი, ცოტა არ იყოს, უდროო დროს ხორციელდება: ახლა, როცა სომხეთი აქტიურად იღვწის სამხრეთ ოსეთის გავლით დამატებითი ტრანზიტის შესაქმნელად (...), ხომ არ თვლით, რომ არ ღირდა მსგავსი ნაბიჯებით კიდევ ერთი საბაბის მიცემა „ტრანსკამის“ გავლით ტრანზიტის გახსნის მოწინააღმდეგეთათვის? მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ არცახის დელეგაცია სამხრეთ ოსეთში სწორედ „ტრანსკამით“, ქვემო ზარამაგით (ოსური სახელწოდება) შემოვიდა?

— ამ ვიზიტს გამაღიზიანებელ ფაქტორად ის ძალები გამოიყენებენ, რომლებიც ტრანზიტს იმთავითვე ეწინააღმდეგებიან, ამდენად, ეს დამატებითი საბაბი ვერ იქნება. ტრანზიტს კი უპირველესად, არა ქართული საზოგადოების ნაწილი ეწინააღმდეგება, არამედ თურქეთი და აზერბაიჯანი — როგორც სომხეთის ბლოკადის, ისე საქართველოს მარყუჟებში მოქცევის კუთხით. სხვა რომ არაფერი, ეს (ტრანზიტი) საქართველოსთვისაც დამატებითი ალტერნატივაა, რომელიც რომელიმე მის პრობლემას არანაირად არ ამწვავებს, ანუ პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა ტრანზიტი მათ არ გააღრმავებს“.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ!

„ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ“ შემუშავება საკმაოდ ნერვიულ ფონზე მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, წლის დასაწყისში აფხაზეთში რუს ბიზნესმენებზე ორჯერ მოხდა თავდასხმა — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშში მოკლეს მიხეილ მასლოვი, ხოლო გაგრის რაიონის დაბა ლიძავაში მიხეილ ევალენკოს კუთვნილი ავტომანქანა ააფეთქეს.

„იმ ბიზნესმენებს, რომლებთაც კაპიტალის დაბანდება სურთ, ვურჩევ ინვესტიციები უფრო ავღანეთში ან ერაყში ჩადონ, ვიდრე აფხაზეთში, — ამბობს „Свободная пресса“-სთან საუბარში სერგეი ჟავორონკოვი, მოსკოვის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, — დღეს ტერმინი „აფხაზეთი“, ჩემი აზრით, „ნგრევის“ სინონიმი გახდა“ საკმარისია შეხედოთ უმაღლესი საბჭოს ყოფილ შენობას, რკინიგზის ვაგზალს, სხვა ობიექტებს და თქვენ თვითონვე დარწმუნდებით.

ბევრი აფხაზი, თავის მართლების მიზნით ამბობს, რომ ეს ყველაფერი 1992-1993 წლების ომის შედეგებიაო, მაგრამ, ვფიქრობ, მიზეზი უფრო ბანალურია — აფხაზებს მუშაობა არ სურთ. რუსებს აფხაზეთში უფლება არ აქვთ მიწა და უძრავი ქონება შეიძინონ, ისინი იძულებულნი არიან იჯარით გაიფორმონ ან კიდევ რაღაც ადგილობრივი სქემებით ისარგებლონ, შემდეგ კი, სამწუხაროდ, ადგილობრივი რეიდერების მსხვერპლნი ხდებიან. აფხაზეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. „ქურდულ სამყაროსთან“.

ცნობილია სკანდალური შემთხვევა, როცა პარლამენტი დიდი ხნის განმავლობაში არ იძლეოდა ნებართვას მკვლელი დეპუტატის ნოდიკ კვიცინიას დაპატიმრებაზე, მან მიმალვა შეძლო და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გახდა მისი დაკავება შესაძლებელი“...

REGION.GE

იენს სტოლტენბერგი: საქართველომ უნდა განაგრძოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირება და კანონის უზენაესობის განმტკიცება

„აქცენტის“ ექსკლუზიური ინტერვიუ NATO-ს გენერალურ მდივანთან

— ბატონო სტოლტენბერგ, ცოტა ხნის წინათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტერიალი გაიმართა. როგორც მის ფარგლებში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეთ, ალიანსი აღიარებს „საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და გრძელდება მუშაობა საქართველოს საბოლოო წევრობისთვის“. მინდა, გკითხოთ, სადღეისოდ კონკრეტულად რომელი მიმართულებით იკვეთება პრობლემები და კიდევ რა კონკრეტულ საკითხებზე აქვს სამუშაო საქართველოს, რომ ალიანსის კრიტერიუმები სრულად დააკმაყოფილოს?

— გასულ კვირას ალიანსის მოკავშირეებმა ხელი მოაწერეს ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის NATO-ში გაწევრების პროტოკოლს. მას შემდეგ, რაც ალიანსის წევრი ქვეყნები პროტოკოლის რატიფიცირებას მოახდენენ, ჩრდილოეთ მაკედონია ოფიციალურად გახდება ორგანიზაციის რიგით ოცდამეათე წევრი. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ NATO-ს კარი ღიაა დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომლებიც ვაშინგტონის ხელშეკრულების ერთგულნი არიან.

რაც შეეხება საქართველოს, სადღეისოდ ქვეყანამ ყურადღება უნდა გაამახვილოს უმნიშვნელოვანესი რეფორმების განხორციელებაზე. მართალია, საქართველომ უკვე განახორციელა შთამბეჭდავი რეფორმები, მაგრამ რეფორმირების პროცესი კვლავ უნდა გაგრძელდეს. ამ მიმართულებით ქვეყანა ალიანსისგან უპრეცედენტო მხარდაჭერასა და დახმარებას იღებს. საქართველოს აქვს ყველა საჭირო ინსტრუმენტი, რომ მოემზადოს წევრობისთვის. NATO საქართველოს პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას სთავაზობს და მოვუწოდებ საქართველოს განაგრძოს ყველა ამ შესაძლებლობის სრულყოფილად გამოიყენება, რათა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ალიანსს.

გვაქვს მოლოდინი, რომ საქართველო განაგრძობს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირებას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას. ეს კი გულისხმობს სასამართლო სისტემის რეფორმირებას, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობას, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და თავდაცვისუნარიანობის NATO-ს სტანდარტების შესაბამისად განვითარებას.

სადღეისოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გააგრძელოს ყველა არსებული ინსტრუმენტის გამოყენება, მოემზადოს წევრობისთვის. ვგულისხმობ, კერძოდ, იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი ითვალისწინებს, რომლის ფარგლებშიც მოკავშირეები საქართველოს როგორც ექსპერტების დონეზე, ასევე ფინანსურ დახმარებას უწევენ, რათა ხელი შეუწყონ ქვეყანას აამაღლოს საკუთარი თავდაცვისუნარიანობა.

მოუთმენლად ველით NATO-საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნების გამართვას, რომელიც მიმდინარე წლის მარტშია დაგეგმილი. ეს სწავლება არა მხოლოდ ალიანსის ერთგულების გამომხატველია საქართველოს მიმართ, არამედ აჩვენებს, თუ რამდენად გაუჯობესდა საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობა.

— როგორც ცნობილია, კრიტერიუმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიის განვითარებაა. საქართველოში გასული წლის ბოლოს გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა როგორც ადგილობრივმა, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებმა, მათ შორის ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ. როგორ შეაფასებდით საქართველოს სადღეისო მდგომარეობას დემოკრატიული განვითარების მიმართულებით?

— მისასალმებელია, რომ გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს ხელისუფლების მიერ კარგად იყო ორგანიზებული. ეს არჩევნები ეუთომ თავისუფლად და სამართლიანად შეაფასა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კამპანიის დროს სახეზე იყო მწვავე დაპირისპირება. მჯერა, მთავრობა ეუთოს რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, ყველა გამოვლენილ ხარვეზს მომავალი არჩევნებისთვის გამოასწორებს და ყველასთვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს.

მოხარული ვარ, რომ NATO-ში ვუმასპინძლე პრეზიდენტ ზურაბიშვილს, რომელიც პირველი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელს ეწვია. მოუთმენლად ველი მასთან და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაგრძელებას ქვეყანაში რეფორმების განხორციელების მხრივ.

— როგორც ბრიფინგზე აღნიშნეთ, ალიანსმა ბოლო პერიოდის განმავლობაში უკვე გააძლიერა წარმოდგენილობა შავ ზღვაში. თუმცა ქერჩის მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს არ არის საკმარისი რეგიონში რუსეთის ქმედებების აღსაკვეთად. გეგმავს თუ არა ალიანსი რაიმე დამატებითი ზომების მიღებას?

—შეშფოთებულები ვართ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო წარმოდგენილობის ზრდით. შავი ზღვის უსაფრთხოება NATO-ს პრიორიტეტია. სამი მოკავშირე — ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი, ასევე ჩვენი ორი მნიშვნელოვანი პარტნიორი — საქართველო და უკრაინა ზღვისპირა სახელმწიფოები არიან. რუსეთის მიერ ყირიმის, შავი და აზოვის ზღვების მილიტარიზაცია მთელი რეგიონის სტაბილურობას უთხრის ძირს. და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს NATO-სა და საქართველოზე.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმის უკანონო ანექსია მოახდინა, ალიანსმა გაზარდა თავისი წარმოდგენილობა შავ ზღვაში. სადღეისოდ NATO-ს გემები რეგულარულად პატრულირებენ და ატარებენ წვრთნებს შავ ზღვაში. NATO-ს შავ ზღვაში დიდი წარმოდგენილობა აქვს და ალიანსი რეგიონში ჩვენი წარმოდგენილობის დონის სათანადოობის შეფასებას განაგრძობს.

2018 წელს NATO-ს გემებმა 120 დღე დაჰყვეს შავ ზღვაში, მაშინ, როცა 2017 წელს — მხოლოდ 80. ამასთან, ცოტა ხნის წინ ბრიტანულმა და ამერიკულმა გემებმა „HMS Echo“ და „USS Fort McHenry“ შავ ზღვაში წვრთნები ჩაატარეს. გარდა ამისა, NATO-ს ეგიდით რამდენიმე მოკავშირე რეგიონში საჰაერო პატრულირებას ატარებს. ამასთან, მოკავშირეები რეგულარულ ფრენებს ახორციელებენ შავი ზღვის თავზე.

ვაფასებთ შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობაში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს. ვაძლიერებთ საქართველოსთან თანამშრომლობას ქვეყნის სანაპირო დაცვის ერთეულების მომზადებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ NATO-ს საზღვაო სარდლობა თანამშრომლობს საქართველოს ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრთან.

— ბოლო დროს რუსული პროპაგანდა მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის საქართველოში კიდევ უფრო გააქტიურდა. თესავენ აზრს, თითქოს NATO-ში ჩვენი სწრაფვა იწვევს რუსეთთან კონფლიქტს და „თუ წყნარად ვიქნებით, ყველაფერი კარგად იქნება“. თქვენი აზრით, არის თუ არა რუსეთის მხრიდან მეზობლების მიმართ აგრესიის რეალური მიზეზი NATO-ში სწრაფვა?

— საქართველოს, როგორც სუვერენულ ქვეყანას, უფლება აქვს თავად აირჩიოს, რომელ ხელშეკრულებას ან ალიანსს შეუერთდეს. ეს ფუნდამენტური პრინციპი დაცულია საერთაშორისო შეთანხმებებით, მათ შორის — „ჰელსინკის დასკვნითი აქტით“ და NATO-სა და რუსეთს შორის გაფორმებული „დამფუძნებელი აქტით“, რომლებსაც რუსეთი აწერს ხელს. არც ერთ მესამე ქვეყანას არ აქვს უფლება NATO-ში გაწევრიანების საკითხში ჩაერიოს. ყველა ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმა, პატივი უნდა სცეს ამ პრინციპს.

ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ სადეზინფორმაციო კამპანიების მიმართ, რომლებიც მიმართულია ჩვენი საზოგადოებისა და ჯარის წინააღმდეგ. სადეზინფორმაციო კამპანია და პროპაგანდა ჰიბრიდული საფრთხეების ნაწილია, რომლის წინაშეც სადღეისოდ ვდგავართ. ეს საფრთხეები ასევე მოიცავს დახვეწილ კიბერშეტევებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას. NATO-ს მოკავშირეები რუსეთის ჰიბრიდულ გამოწვევებს პასუხობენ. ასევე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოსთან, რათა ამ გამოწვევებზე რეაგირება შეძლონ. აქტიურად ვუპირისპირდებით პროპაგანდის ფაქტებს — იქნება ეს გავრცელებული ზეპირი, ბეჭდური თუ ონლაინ გზით.

-რუსეთის ხელისუფლების კვალდაკვალ, NATO-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ლიდერებიც. სოხუმსა და ცხინვალში ამბობენ, რომ საქართველოს NATO-ში არათუ გაწევრიანება, სწრაფვაც კი მათთვის პირდაპირი საფრთხეა. რას იტყოდით აღნიშნულთან დაკავშირებით?

—კიდევ ერთხელ გავმეორდები, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ ქვეყანას, უფლება აქვს თავად აირჩიოს მომავალი. ალიანსი მხარს უჭერს ყველა მისი პარტნიორის უფლებას თავად გააკეთოს დამოუკიდებელი და სუვერენული არჩევანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხში. რეალურად საკითხი ასე დგას: რუსეთი საქართველოს არჩევანის უფლებას პატივს არ სცემს.

NATO-ს მოკავშირეები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების — სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და შეწყვიტოს სხვადასხვა სახის ქმედებები ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ. რუსეთის ქმედებები წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ეუთოს პრინციპების და მის მიერვე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას. NATO მტიკიცედ უჭერს მხარს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატს, რომელიც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზეა მიმართული.

მივესალმებით საქართველოს ერთგულებას კურსისადმი, კონფლიქტები ძალის არგამოყენების გზით გადაჭრას. ამასთან, მივესალმებით საქართველოს ძალისხმევას, ნდობის აღდგენის გზით დაამყაროს კავშირები ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

მარიკა ჩუბინიძე,
საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“.

აბუ-დაბუს პრინცი ჩვენი საბრძოლო პროდუქციით დაინტერესდა

თავდაცვითი მრეწველობის საერთაშორისო გამოფენა IDEX 2019-ის ფარგლებში სსიპ სსსტც „დელტას“ მიერ ფართო მასებისთვის პირველად წარმოდგენილი ჯავშანმანქანა „დიდგორი მეომარის“ ახალი 120 მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის მოდულით აბუ-დაბის პრინცი მისი უდიდებულესობა შეიხი მუჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰაიანი დაინტერესდა. პრინცი გაეცნო ქართული წარმოების უახლეს საარტილერიო მოდულს, გაესაუბრა ქართული მხარის წარმომადგენლებსა და გამოთქვა ქართული მხარის მიერ სამომავლო ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ წარმოადგინა ქართული წარმოების შეიარაღების ნიმუშები, რომელთა შორის არის ფართო მასებისთვის პირველად წარმოდგენილი ჯავშანმანქანა „დიდგორი მეომარის“ ახალი 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის მოდული, სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა დიდგორი მედევაკი, მოდიფიცირებულ ჯავშანტრანსპორტიორი დიდგორი ორ სიბრტყეში სტაბილიზებული დისტანციური მართვის 23 მმ მოდულით, ანტიმატერიულ შაშხანა AMR MOD 2, მოდერნიზებულ ბიკალიბრული უხმაურო ნაღმმტყორცნი GNM-60, მოდერნიზებულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი რდ-7, მოდიფიცირებული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნს RPGL-7G, 338 კალიბრის სნაიპერული შაშხანას სატევარი-2, ჯავშანჟილეტებისა და ჩაფხუტების სხვადასხვა მოდელები.

ჯონ უორნერთან ერთად

ელისაბედი და ჯონ უორნერი, 1976 წელი

საგედნიეროდ, ელისაბედი ერთბაშად არ მიმხვდარა, რომ ქმარი არ უყვარდა, ის მხოლოდ და მხოლოდ თავს იცავდა მარტოობისგან უორნერის საზოგადოებაში, გულის სიღრმეში კი ისევ ხან ბარტონს, ხანაც ტოდს მისტიროდა.

ერთხელ ელისაბედი ქმართან ერთად ფილმის პრემიერაზე მიიწვიეს, რისი გულისთვისაც თვითმფრინავით სხვა შტატში უნდა გადაფრენილიყვნენ. სამწუხაროდ, ელისაბედი პრემიერაზე მარტო წავიდა. როცა ჰკითხეს, ქმარი რა უყავით, მან მიუგო: „თუ არ მეშლება, დასაძინებლად დილის ხუთ საათამდე არ დაწოლილა. დღეს ძალზე მნიშვნელოვანი კენჭისყრა ჰქონდათ მთავრობაში, რა უნდა მექნა, თუ დღევანდელი კენჭისყრა მთავრობის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წყვეტს, – ვუთხარი დარჩი და პრემიერაზე უშენოდ წავალ-მეთქი“.

როცა რეპორტიორი დაგულისყურდა, როგორ მიდის თქვენი ავტობიოგრაფიის წერის საქმეო, ელისაბედმა მიუგო, წერას უკვე მოვრჩი და ახლა შვეიცარიაში სეიფში ვინახავო. „საკვირველია, როგორ გამოძებნეთ დრო წიგნის დასაწერადო“, – არ ეშვებოდა რეპორტიორი.

„როგორ გამოვძებნე დრო? ჩემი ქმარი დღედაღამ სენატშია, შეიძლება იმის თქმა, რომ იქიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. ამიტომ, უამრავი თავისუფალი დრო მაქვსო“.

1982 წელს ელისაბედ ტეილორის პატივისცემის ნიშნად გამართულ მეჯლისზე მთელმა ამერიკამ მოიყარა თავი. კაშკაშა ვარსკვლავად ქცეული ელისაბედი მდიდრულ Valentin-ის კაბაში გამოწყობილი წარდგა საზოგადოების წინაშე. არცვის იმის ვარაუდი არ შეეძლო, რომ ეს იყო ელისაბედის ბოლო გამოსვლა ჯონთან ერთად.

ტეილორისა და უორნერის ცხოვრების ნავი მოკრძალების კბოდეს შეემსხვრა, რომელ მოკრძალებასაც ქმარი დღენიადაგ შეახსენებდა.

ჯონს მიაჩნდა, რომ ამერიკელ სენატორს ფუფუნებაში ცხოვრების უფლება არა ჰქონდა, ის ახლოს უნდა ყოფილიყო თავის ხალხთან. როცა ჯონმა მეუღლეს ცალკე სახლ-კარიდან ქალაქის ბინაში გადასვლა შესთავაზა, ელისაბედი აღშფოთდა: „მე იმის უფლებას არ მოგცემ, ვირჯინიაში ვირთხის სოროში შევძვრეო“. სახელგანსმენილ მსახიობს ისეთი სახლი სჭირდებოდა, სადაც მთელ თავის ძვირფასეულობას შეინახავდა, სადაც ძაღლებისთვისაც და კატებისთვისაც ექნებოდა ადგილი. აგრეთვე მდივნისთვის, პარიკმახერისთვის, მზარეულისთვის, შინამოსამსახურისთვის, მასაჟისტისა და კიდევ ვინ იცის, რისთვის და ვისთვის. ჯონს არ უთხოვია, უარი ეთქვა პრივილეგიებზე, რაც სავსებით ზედმეტი იყო სენატორის ცოლისთვის, რომელიც ელექტორატს არ უნდა სჩვენებოდა გაყოყოჩებულ და მოკლე ჭკუის ქალად.

რაც უფრო მეტს ცდილობდა სენატორი ელისაბედისთვის იმის დამტკიცებას, ვარსკვლავი აღარა ხარ, ახლა ჩვეულებრივი, უბრალო ქალი ხარო, მით უფრო ცეცხლს აფრქვევდა ის, რაც თანდათან მძულვარებაში გადაიზარდა.

ექვსი წლის შემდეგ, 1982 წელს, ცოლ-ქმარი მშვიდად და უაყალმაყალოდ გაიყარნენ.

„ელისაბედ ტეილორმა №7 ქმარი სანაგვეზე მოისროლა“, – წერდნენ გაზეთები, რომლებიც მონატრებულნი იყვნენ შეუდარებელი ელისაბედის ცხოვრების სენსაციებს.

ნიშნის მოგებით ლაპარაკი დაიწყო რიჩარდ ბარტონმა, არცრას არ უმალავდა ჟურნალისტებს თავის ცოლყოფილზე და იმის მეშვიდე ქმარზე: „ცხადია, რომ ეს ქორწინება თავიდანვე განწირული იყო. პირველად რომ შევხვდი უორნერს, თვალში მაშინვე მეცა ჩემზე ბევრად დაბალი რომ იყო, თანაც გაბღენძილი ჯირკუტანა! ჩემი აზრით, სულ ტყუილად ეგონა თავი დიდი ვინმე! მახსოვს, გვერდით რომ გამიყვანა და მითხრა: „აი, ხომ ხედავ, ახლა მე ჩავიგდე ხელში შენი ელისაბედი, აღიარე, რომ დიდი სისულელე ჩაიდინე, როცა ხელიდან გაუშვი! რა საოცარი ჩმახია! წამოყრანტალებაც ამასა ჰქვია! მე მაშინ პირდაპირ ვუთხარი, ელისაბედი ამ ჯეელთან დიდხანს ვერ იცხოვრებს-მეთქი და როგორც ხედავთ, მართალი გამოვდექი. ელისაბედს ისევ ჩემთან ყოფნა ენიაზება. სულ იმას მეხვეწება, ისევ წამიყვანე ცოლადო, მაგრამ იმასთან თამაშის თავი აღარა მაქვს... ჩვენ ისედაც მთელი ცხოვრება სულ ერთად ვართ – ის ჩემი ცოლყოფილი, ჩვენი შვილების დედა და აგრეთვე, ცოცხალი ლეგენდაა, ეროტიკული ლეგენდა, მუქთმიანი ტანმორჩილი. მართალი გითხრათ, ვაღმერთებ, ნამდვილი მშვენებაა, იშვიათი და ამაღელვებელი ლეგენდა, მაგრამ აგრეთვე მოურჯულებელი ალქაჯი“.

ჯონ უორნერი ელისაბედ ტეილორთან ქორწინების თაობაზე ამბობდა: „ეგ გონიერი, ბრწყინვალე, ბევრი რამით განუმეორებელია. თანაც, ქმრის ასი პროცენტით ერთგული, შესაყვარლებული ცოლია, მაგრამ მაგასთან ცხოვრება იოლი საქმე სულაც არ არის.

ისიც უნდა იცოდეთ, მაიკლ ტოდი თუ არ დაიღუპებოდა, მაგის ცხოვრება სავსებით სხვაგვარად წარიმართებოდა. ბედმა ქურდულად მოჰპარა ქმარი, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეგ ხელახლა აღარ გათხოვდებოდა“.

ბოლო ნაბიჯი გაღადგმული რიჩარდ ბარტონისკენ

ელისაბედ ტეილორი მაინცდამაინც არ განიცდიდა ჯონთან განშორებას. მან თავისუფლება აღიქვა როგორც რიჩარდ ბარტონის დაბრუნების უკანასკნელი ცდა. ყოფილი მეუღლეები კვლავ გახდნენ ერთმანეთის საყვარლები.

ბარტონს არ უყვარდა ელისაბედის გარემოცვა. „მე მეზიზღება მთელი ეს კომპანია, – ამბობდა იგი, – როცა მე და ელისაბედი ერთხელ წვეულებიდან იმის სახლში დავბრუნდით, ის აბუჩალაკნი, დაუპატიჟებელნი სტუმარნი, უკვე იქ დაგვხვდნენ. აბა, ახლავე აქედან მოუსვით-მეთქი, ვუბრძანე იმ ვიგინდარებს. ზუსტად ასე ვუთხარი, „მოუსვით-მეთქი!“ ამის თქმა იყო და, წამისუმალ გაქრნენ.

კვლავ რიჩარდ ბარტონთან

მაშინ ელისაბედმა შემომხედა და მითხრა: „ჩემო ტკბილო მეგობარო, ძალიან დამჭლეოებულხარ, შენ რა, ჩემს კოცნას არ აპირებ?“ მეც ეგრევე ჩავიკარი გულში და ვაკოცე. ერთმანეთი რომ ჩავკოცნეთ, მან თქვა: „პირდაპირ ვერ დამიჯერებია, რომ ეს ყველაფერი ჩვენს თავს მოხდა“.

ელისაბედმა იფიქრა, თუკი უკვე ორჯერ ვიყავით ცოლ-ქმარი, რატომ არ შეიძლება მესამედაც ვიფსკვნათ ჯვარიო. მაგრამ ბარტონი არ დაეთანხმა.

ის განაგრძობდა სმას, თავს ილაჯგაწყვეტილად გრძნობდა და ტეილორთან თანაცხოვრების თავი აღარა ჰქონდა. ალკოჰოლი ნელა, მაგრამ აშკარად ბოლოს უღებდა: საზოგადოების გულისყური მსმელი ბარტონის მიმართ მინელდა და უკვე აღარც იღებდნენ. გამოხდა ხანი და ბარტონს ფიზიკურადაც აღარ შეეძლო თეატრში თამაში. მან სმით სიკვდილი გადაწყვიტა და გარდაიცვალა 1984 წლის 5 აგვისტოს.

ბარტონის სიკვდილის შემდეგ ელისაბედი არც განიცდიდა, რომ კინემატოგრაფი იმისთვის უკვე დაკარგული იყო. ყველაზე დიდი უბედურება იმისთვის უკვე მოხდა. ელისაბედ ტეილორმა თავისი სიამოვნებისთვის დაიწყო ცხოვრება, იგი ისევ და ისევ განაგრძობდა ქველმოქმედებას. თან ბარტონს დასტიროდა, თან ხელს უმართავდა სნეულშეყრილთ და ობოლთ. ელისაბედს შეეძლო დიდბრილიანტისთვლიანი ბეჭედი თითიდან წაეძრო ან ყელიდან შეეხსნა უბრწყინვალესი ყელსაბამი და აუქციონზე გაეტანა შეჭირვებულთა შესაწევნად.

ელისაბედი და ლარი ფორტენსკი, 1991 წელი

ჯონ უორნერთან გაყრის მერე ელისაბედი ცხრა წელიწადი აღარ გათხოვილა. აშლილმა ნერვებმა და სასმელმა ელისაბედი ნარკოლოგიურ კლინიკაში მიიყვანა, სადაც ის გაეცნო თავის ბოლო მეუღლეს – სანდომიან,

ლარი ფორტენსკისთან

შორ მანძილზე მოსიარულე მძღოლს.

ლარი ელისაბედზე 20 წლით უმრწემესი იყო. ტეილორი იმას თავის საყვარელ ქმრებს გარეგნულად ამსგავსებდა და ელისაბედს გულწრფელად შეუყვარდა ლარი, რომელსაც აგრეთვე შეუყვარდა ტეილორის დიდება და დიდძალი, უდანდარი ფული. არც ელისაბედი უჭერდა ხელს ფულს, რათა სულხორციანად დაუფლებოდა სასურველ მამაკაცს. იგი თანახმა გახდა, რომ ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის, რომლის წყალობითაც ტეილორთან თანაცხოვრების ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ლარი მილიონ დოლარს მიიღებდა.

მათი ქორწილი ჭეშმარიტად წარმოუდგენელ სანახაობად გადაიქცა. ქორწილის მეთადარიგე ელისაბედის ახლო მეგობარი მაიკლ ჯეკსონი იყო. ჯვრისწერა კალიფორნიაში გაიმართა, მაიკლ ჯეკსონის რანჩოზე 1991 წელს. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ედი მერფი, ლაიზა მინელი და სხვა ვარსკვლავნი.

ეს განუმეორებელი ქორწინება მხოლოდ ხუთ წელიწადს გაგრძელდა, რის შემდეგაც ცოლ-ქმარი გაიყარა. ამასთანავე, ელისაბედ ტეილორმა ბარძაყის ყელი მოიტეხა და დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი დაკარგა. ახალგაზრდა ქმარმა კი აღარ ისურვა ავადმყოფი ცოლის საწოლთან ჯდომა და გაეყარა.

1996 წელს ელისაბედმა და ლარიმ განქორწინება გაიფორმეს.

ელისაბედი და ჯეისონ უინტერსი, 2010 წელი

ლარისთან გაყრის მერე ელისაბედმა აღიარა, ქორწინებათაგან დავიღალე, მაგრამ ამასთანავე მამაკაცთაგან სულაც არ დავღლილვარო! ეს უტყუარი სიმართლე იყო: 2010 წელს მხურვალე შავტუხა 78 წლის ელისაბედი 49 წლის ჯეისონ უინტერსზე ეპირებოდა გათხოვებას. ჯეისონი მომღერალ ჯანეტ ჯეკსონის მენეჯერი იყო, ხოლო თვითონ ჯანეტის მეგობარი გახლდათ.

ელისაბედი ამბობდა, ჯეისონი ჯერეთ კიდევ ჩემი ბოლო განქორწინების მერე მთხოვდა ხელს, 1996 წლიდანო. ტეილორი უკვე ვეღარ დგებოდა ინვალიდის ეტლიდან. ფერ-უმარილუხვადწასმულმა და თალშისაცემად გამოპრანჭულმა განაცხადა, – მე და უინტერსი ჯვარდაწერილნი ვართო. პრესაში პირდაპირ ტკბებოდნენ დიდებული ტეილორის ამ დამთხვეულობით.

ბოლო მეუღლე – ჯეისონ უინტერსი

თუმცა, „ჰოლივუდის დედოფალი“ მეცხრე ცდამ საკურთხევლამდე ვერ მიიყვანა.

(გაგრძელება იქნება)

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ იხილავ, ზოგიერთი შენ გიხილავს“

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37

2008 წლის შემდეგ რუსეთის ეკონომიკა არ იზრდება!

— საგარეო დაზვერვის სამსახური — ეს ხომ კაგებეს პირველი მთავარი სამმართველოს მემკვიდრეა სსრკ-ის დაშლის შემდეგ?

— დიახ. და მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ბანდიტებიც მემკვიდრეობით მიიღეს. ბუდაპეშტში, „ფილიალში“, აქტიურად მიდიოდა ვაჭრობა იარაღით, რომლის მთები იდგა სსრკ-ის დაშლის შემდეგ. სოლნცევოელების გზით ჩეკისტები და გენერლები მას მთელ მსოფლიოში ყიდდნენ. FBI-ის მოხსენებაში „სემიონ მოგილევიჩის ორგანიზაცია“ 1996 წელს სოლნცევოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ბუდაპეშტის „ფილიალი“ მოხსენიებული იყო, როგორც იმ დროს აღმოსავლეთ ევროპაში იარაღით ვაჭრობის უმსხვილესი ასპარეზი. შემდგომში მოგილევიჩს FBI-ის მხრიდან მართლაც მიენიჭა რუსული მაფიის „ბოსების ბოსის“ წოდება. FBI-ის მიერ ძებნილთა ათეულში შედიოდა. მაგრამ სევა — სწორედ სოლნცევოს მაფიის ბოსია, მისი ერთ-ერთი დამაარსებელია.

გარდა ამისა, სევას მიერ უნგრეთში შექმნილი „ფილიალის“ გზით 90-იან წლებში ევროპიდან შემხვედრი კონტრაბანდა მიდიოდა რუსეთის ფედერაციაში: არაყი „რასპუტინი“, სპირტი „როიალი“, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შეღავათიანი სიგარეტი. შეღავათების მოპოვებას ახერხებდა კირილე, მომავალი პატრიარქი, მაშინ — ეკლესიის საგარეო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელი. საეკლესიო შეღავათებით მთელს იმპორტს აწარმოებდა ეკლესიის საგარეო კავშირების განყოფილებასთან არსებული ფირმა „ნიკა“, რომელიც მთლიანად სოლნცევოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ კონტროლდებოდა.

— პატრიარქი კირილე სოლნცევოელებთან ბიზნესს აწარმოებდა?

— ის ხომ მთელი ცხოვრება პირველ მთავარ სამმართველოზე მუშაობდა. „აგენტი მიხაილოვი“.

— რამდენ ხანს იარსება ბუდაპეშტში სოლნცევოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ფილიალმა?

— დაახლოებით 1990-დან 1999 წლამდე. 1999 წელს FBI-ის ზეწოლის შედეგად მოგილევიჩი იძულებული გახდა, დაეხურა კანტორა და რუსეთში დაბრუნებულიყო.

— პუტინი პირადად იცნობს მოგილევიჩს?

— ლიტვინენკო ამტკიცებდა, რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ 1993 წლიდან, როცა სევა ვიზიტით ჩავიდა პიტერში. ანუ თაღლითობის, „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“ მომენტისთვის ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ალბათ, პუტინს უბრალოდ ურჩიეს მოგილევიჩთან თანამშრომლობა მისმა უფროსმა კოლეგებმა კაგებეს პირველი მთავარი სამმართველოდან, მაგრამ მიროშნიკის ფირმასთან რაღაც პრობლემები გაჩნდა და ოპერაცია პეტერბურგელ ჩეკისტებს მიანდეს.

— რას იტყვით პუტინისა და მოგილევიჩის ნაცნობობის შესახებ „მელნიჩენკოს ფირებზე“?

— 2000 წელს დასავლეთში გაიქცა ოფიცერი უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას პირადი დაცვიდან. და გაიტანა ფირები ჩანაწერებით, რომლებსაც ის მის კაბინეტში საიდუმლოდ დაყენებული ჩამწერით აკეთებდა. იქ მთავარი სკანდალი ის იყო, რომ ჩანაწერებში კუჩმამ ფაქტობრივად შეუკვეთა ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობა, რომელიც მისთვის არასასურველი პირი იყო. ყველამ ამას მიაქცია ყურადღება. მაგრამ მერე მის კაბინეტში მთელი ეს მრავალსაათიანი ჩანაწერები სრულად გაშიფრეს და კიდევ ბევრი საინტერესო რამ აღმოჩნდა. იქ არის რამდენიმე ეპიზოდი, 2000 წლის თებერვლიდან, როცა კუჩმა და ადგილობრივი ძალოვნები (უკრაინის უშიშროების სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი დერკაჩი, უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო დაზვერვის უფროსი სმეშკო) მოგილევიჩთან რაღაც საქმეებზე მსჯელობენ. არის საუბარი, რომელიც უკვე არაერთხელ გამოქვეყნდა მედიაში, სადაც უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი დერკაჩი ეუბნება კუჩმას, რომ ვოვა პუტინიც იცნობს სევას, მათ „ჯერ კიდევ ლენინგრადიდან აქვთ კარგი პირადი ურთიერთობები“. და რომ პუტინმა შეიკედლა უნგრეთიდან წამოსული მოგილევიჩი. რომ პუტინის დროს სევა მოსკოვში გადავიდა, სნეგირიში ვილა იყიდა და ძალიან კმაყოფილია ცხოვრებით. ამის მერე მალე არის კიდევ ერთი საუბარი კუჩმასა და სმეშკოს შორის, რომელშიც სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი სმეშკო ჩივის, რომ უკრაინის უშიშროების სამსახური თავით ფეხებამდე ნაყიდი აქვს სევას და რომ თვითონ მოგილევიჩი „კაგებეს პირველი მთავარი სამმართველოს ნომენკლატურაა“. მოკლედ, ასეთი გულახდილი საუბრები ჰქონდათ კუჩმას კაბინეტში.

— 1996 წელს სობჩაკმა წააგო მერის არჩევნები და პუტინმაც დაკარგა მერიაში თავისი თანამდებობა. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ამის შემდეგ პუტინი საარსებო საშუალების გარეშე დარჩა და ტაქსისტადაც კი აპირებდა მუშაობას. რა მოხდა სინამდვილეში?

— კი, არის ასეთი ლეგენდა. რომ ის ჩამოაშორეს შემოსავლის წყაროს, დეპრესიაში ჩავარდა, იჯდა მიშა კუტაისკის აგარაკზე და ტაქსისტობისთვის ემზადებოდა. მართალი გითხრათ, დიდად არ მჯერა ამის. პუტინი სობჩაკის მერიაში 5 წელი მუშაობდა (1991-96 წწ.). 5 წელი თაღლითობები და კორუფციული სქემები: ხან ნედლეული, ხან კაზინო, ხან SPAG-ი, ხან პორტისა და ნავთობბაზის დანაწილება. და არსად არ ავიწყდებოდა საკუთარი თავი. არა მგონია, რომ 1996 წელს „საარსებო საშუალების გარეშე“ დარჩა. სამსახურიც სწრაფად იშოვა, რამდენიმე თვეში მოსკოვში დაუძახეს, ელცინის ადმინისტრაციაში, მაღალ თანამდებობაზე. რა დარდი, რის დარდი?

— პუტინოლოგები ზოგჯერ უცნაურ სიუჟეტებს ყვებიან. თქვენი სტატიის წყალობით მე გაკვირვებულმა შევიტყვე, რომ პუტინის მამამ დედამისს ფიწლით გამოსთხარა თვალი. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამე?

— პუტინის მამა გამოირჩეოდა, როგორც ახლა იტყვიან, დევიაციური ქცევით. აგრესიულობის შეტევებით შესაძლო შედეგების გაუთვალისწინებლად. ერთხელ მივიდა გოგოსთან, რომელიც მოეწონა, სახლში არავინ იყო, მაგრამ იმან რატომღაც ეზოში არ შეუშვა. მაშინ ამან ფიწალს სტაცა ხელი და ჭიშკრის შემტვრევა დაიწყო. და ისე მოხდა, რომ რაღაც მომენტში ფიწლით ღობე გაამტვრია და გოგოს თვალებში მოარტყა. მოკლედ, კინაღამ მოკლა. გოგო საავადმყოფოში წაიყვანეს, შუშის თვალი ჩაუსვეს, ნათესაობამ კი პირობა წაუყენა: ახლა კი, ძვირფასო, ცოლად მოიყვანე, თორემ მილიციაში განცხადებას შევიტანთ და ციხეში მოხვდები სხეულის მძიმე დაზიანებისთვისო. ასე დაქორწინდა პუტინის მამა დედამისზე. ერთი გაუფრთხილებელი დარტყმა ფიწლით. სინამდვილეში ეს ამბავი დიდი ხანია ცნობილია, მას პუტინის თანასოფლელები უკვე 15 წელია ჰყვებიან.

— საერთოდ, რისი თქმა შეიძლება პუტინის მშობლებზე და მისი ცხოვრების ადრეულ პერიოდზე? როგორი გავლენა მოახდინა ამან რუსეთის ფედერაციის შემდეგ პრეზიდენტზე?

— მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი არაფერი. საერთოდაც, საეჭვოა, რომ მშობლებს მასზე რაიმენაირად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ან კულტურულზე გავლენა მოეხდინათ, მათ უბრალოდ ამ თვალსაზრისით არაფრის მიცემა არ შეეძლოთ. როგორც ჩანს, როცა ამბობს „ლენინგრადის ქუჩამ მასწავლა“ — ეს არაა სამეტყველო ფიგურა. სწორედ იქ ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება. ქუჩაში. და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც მან მიიღო, ასევე ფიქციაა, ვინაიდან იქ მიიღეს სპორტული კვოტით, თავისი მწვრთნელის პროტექციით, რომელიც შეთავსებით კრიმინალური ავტორიტეტი იყო, მაგრამ დიდი კავშირებით **(ლეონიდ უსვიაცოვი, მეტსახელად ლიონია-სპორტსმენი)**.

მერე იყო კაგებე. როგორც ბერეზოვსკიმ თქვა, ადგილი, სადაც ასწავლიდნენ ბოროტმოქმედებების ჩადენას, მაგრამ უხსნიდნენ, რომ ეს არ არის ბოროტმოქმედებები.

აქ მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო დრეზდენზე. იქ, სხვათა შორის, ასრულებდა პირველი მთავარი სამმართველოს „C“ უწყების (არალეგალური დაზვერვა) დავალებებს. კერძოდ, იყო მეკავშირე კაგებესა და RAF-ის („წითელი არმიის ფრაქცია“) ტერორისტებს შორის, რომლებიც გდრ-ში გადიოდნენ მომზადებას და მერე ტერაქტებს ახორციელებდნენ დასავლეთ გერმანიაში. ამან დამატებით განუვითარა ცინიზმი და ამორალური „მგლური“ ფსიქოლოგია, რომელიც ადრე ქუჩაში შეითვისა. რუსეთის პრეზიდენტი გახდა ადამიანი, რომელიც აღიზარდა პრიმიტიული ქუჩური ცნობიერებით, პლუს სამსახურებრივი ბიოგრაფიით — ტერორისტების პროფესიონალი ხელშემწყობი.

— თქვენ ერთ-ერთ თქვენს სტატიაში აღწერეთ, რომ გდრ-ში პუტინი მეკავშირე იყო დიტმარ კლოდოსთან, საერთაშორისო ტერორისტთან და კარლოსის („ტურა“) თანამებრძოლთან. კლოდომ თვითონ თქვა ეს?

— დიახ, კლოდო დღეს გერმანიაში ცხოვრობს, პენსიაზეა. პატიმრობა მოიხადა, დიდხანს დუმდა, მაგრამ 2013 წელს პუტინთან თავისი ნაცნობობის ზოგიერთ დეტალზე ილაპარაკა.

— კლოდოც იყო სოლნცევოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ბუდაპეშტის „ფილიალის“ წევრი 1990-იანებში. ასე როგორ შეტრიალდა მისი ბედი? მემარცხენე ტერორისტიდან მაფიისკენ?

— აი, ასე. 1980-იანებში კომუნიზმისთვის იბრძოდა, ევროპაში ბურჟუებს აფეთქებდა და კლავდა, 90-იანებში კი — რუსულ მაფიაში წავიდა მოგილევიჩთან. აი, ასეთი ბიოგრაფია აქვს. მაგრამ ვინაიდან RAF-სა და მოგილევიჩის ბანდებს ერთი ფესვი აქვთ — კაგებეს პირველი მთავარი სამმართველო (ისევე, როგორც პუტინს), მაშინ ალბათ არ არის გასაკვირი.

— ისტორიკოსმა ალექსანდრ იანოვმა, რომლის პროგნოზები ხშირად მართლდება ხოლმე, დაწერა სტატია დეპუტინიზაციის გარდაუვალობის შესახებ. მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა. თქვენი აზრით, რა ელის ქვეყანას ახლა?

— ვფიქრობ, არაფერი კარგი. მთლიანი შიდა პროდუქტის ათწლიანი სტაგნაცია (2008 წლის შემდეგ ეკონომიკა არ იზრდება), მიზერული ხელფასები, როგორც მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, სოციალური ლიფტები არ არსებობს, სიკვდილიანობა შობადობაზე მაღალია. საავადმყოფოების რიცხვი ორჯერ შემცირდა — 1932 წლის დონემდე. ცენტრალური აზიის ან დიუვალიეს პერიოდის ჰაიტის ტიპის უბადრუკი პოლიტიკური სისტემა. სამაგიეროდ ყვავიან ჩეკისტები, ბოროტმოქმედები, კორუმპირებული ოლიგარქია. და პლუს „ზომბოყუთი-დებილიზატორი“ დღე-ღამეში, 24 საათის განმავლობაში. ვერ არის მთლად სასიამოვნო სურათი.

დმიტრი ვოლჩეკი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №36, 37

ივანე მაჭავარიანი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას შეხვდა

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს, მერსედეს ვერა მარტინს შეხვდა.

მისიის მიზანია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მიმდინარეობის შესწავლა.

ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა მიმოიხილეს 2019 წლის მაკროეკონომიკური ტენდენციები, საშუალოვადიანი ფისკალური პარამეტრები ქვეყანასა და რეგიონში არსებული ეკონომიკური დინამიკა, ინკლუზიური ზრდის ხელშემწყობი რეფორმების მიმდინარეობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სისტემაში, ასევე, ადამიანური კაპიტალის განვითარების მიმართულებით დაგეგმილ რეფორმებზე.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის დეკემბერში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ფორმალური მიმოხილვის გარეშე დაამტკიცა პროგრამის მესამე მიმოხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მიერ შესრულებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმი.

ზეციურ ვარსკვლავად ქცეული

ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის და დავით ანდღულაძის ვოკალური სკოლის საუკეთესო გამგრძელებელი, რომლისთვისაც საგანგებოდ იქმნებოდა ნაწარმოებები და ყოველი საოპერო ნაწარმოები აღფრთოვანებას იწვევდა... ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ შეფასებებისა დიდი შემოქმედის ზურაბ ანჯაფარიძის შესახებ, რაც მსოფლიო პრესაში დაწერილა.

1952 წლის 3 მარტი კონსერვატორიის დიდ საოპერო სტუდიის სცენაზე დაუვიწყარი საღამო შედგა, ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ — აბესალომის პარტიის შემსრულებელმა დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა, ზურაბის აბესალომის წარმატებებში ლომის წილი მის სათაყვანებელ მასწავლებელს დავით ანდღულაძეს მიუძღვის, თვითონ ბრწყინვალე აბესალომი არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ მისი საყვარელი მოწაფე საუკეთესო ყოფილიყო ამ როლში, სპექტაკლის შემდეგ დიდი აკაკი ხორავამ დავით ანდღულაძეს უთხრა — დათიკო, შენ ამ ტენორით ძეგლი დაიდგიო, იმ დღიდან მოყოლებული ზურაბ ანჯაფარიძის ვარსკვლავს არ შეუწყვეტია კიაფი... ზურაბმა შექმნა ეპოქა, ეპოქა... მისი სახელი და გვარი აღბეჭდილია თვით კოსმოსშიც. 2010 წლის 10 ივნისს დავით საყვარელიძის თაოსნობით ზეციური ტენორი ზეციური ჯილდოთი შეამკეს — ერთ-ერთ ვარსკვლავს ზეცაში ზურაბ ანჯაფარიძის სახელი მიენიჭა, ეს გახლდათ საერთაშორისო ორგანიზაცია — „კოსმოსი და დედამიწა“. დედამიწაზე მუდმივი არაფერია, მხოლოდ ვარსკვლავები რჩებიან მუდმივად... **„ზურაბ ანჯაფარიძის ნიჭიერებამ და პიროვნულმა მომხიბვლელობამ, მასთან ხანგრძლივმა მეგობრობამ ამაღებინა ხელში კალამი და მიბიძგა მკითხველისათვის გამეცნო მასთან დაკავშირებული მრავალი ეპიზოდი — მომსწრე ვარ მისი უდიდესი ტრიუმფის ზაქარია ფალიაშვილის აბესალომში — დარბაზი ცრემლად იღვრებოდა და ოვაციებს არ წყვეტდა“,** — წერს **ნიკო ხატიაშვილი** თავის მოგონებებში.

1966 წელს რეჟისორმა ბატონმა ლეო ესაკიამ გადაიღო ფილმი ოპერა ზაქარია ფალიაშვილის „ბესალომი და ეთერ“, სადაც აბესალომის პარტიას ახმოვანებს ზურაბ ანჯაფარიძე, აბესალომის როლს კი არაჩვეულებრივად ასრულებს მსახიობი — ა. მეტონიძე, რომლის შესრულებითაც ზურაბი აღფრთოვანებული იყო.

„კაცთმოყვარეობა ნიშანდობლივია ზეგალალი ბუნების ადამიანებისთვის — ერთიც და მეორეც მოჭარბებული ჰქონდა ჩვენს ზურაბს დიდ ქართველსა და დიდ ხელოვანს, მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულ საოპერო რეპერტუარში ჩემთვის აბესალომს ბადალი არ ჰყავს, როცა კი მას ვუსმენდი, ჩემდა უნებურად ზურაბის სიმღერის მშვენიერებას რუსთაველის გმირის — ამაღლებული სულის მქონე, ავთანდილის სიმღერას ვადრიდი: „მისი ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან...“ წერდა მერაბ ბერძენიშვილი.

„ზურაბ ანჯაფარიძე გახლდათ უდავოდ ლიდერი როგორც სცენაზე ასევე საზოგადოებაში, საოცარი ხიბლი, დრამატიზმი, სილამაზე, როლის ბოლომდე მორგება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენი ზურიკო, ასე ეძახდნენ საყვარელ მომღერალს, პიროვნებას, რომელიც იყო ქართული ჯიშის, გენის, ნიჭიერების განსახიერება, ასეთები საუკუნეში ერთი ან ორი შეიძლება რომ მოევლინოს ქვეყანას, ზურაბ ანჯაფარიძემ ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი კარიერის დასაწყისში, მომისმინა რა აბესალომის პარტიაში, თვალცრემლიანმა გულში ჩამიკრა, პირჯვარი გადამსახა და მითხრა, დღეიდან შენა ხარ აბესალომი, მე აღარ ვიმღერებ ამ პარტიას, აბა შენ იცი, ჩემო ალეკო, როგორ უჭირისუფლებ აბესალომს, შენ გვერდით მიგულე, როცა დაგჭირდებიო“, იხსენებს **ალექსანდრე ხომერიკი**.

ზურაბ ანჯაფარიძე ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის დიდი თეატრისა და თბილისის სცენებზე. ამერიკის კონტინენტზე, ევროპის ქვეყნებში, საფრანგეთში, გერმანიში, საბერძნეთში, იტალიაში.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში თეატრი გაიხსნა ზურაბ ანჯაფარიძის, პეტრე ამირანაშვილის და დიმიტრი მჭედლიძის თაოსნობით, ამ დროისათვის ზურაბი მოსკოვის დიდ თეატრთან ერთად საგასტროლოდ პარიზს მიემგზავრებოდა. მან პარიზში გამგზავრებას ქუთაისში ჩამოსვლა არჩია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ულამაზეს უდიდესი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქალაქში გაახილა პირველად თვალი და იმიტომაც, რომ საქართველოში მეორე ოპერა იბადებოდა და მისი ერთ-ერთი ნათლია ზურაბიც უნდა ყოფილიყო.

ნოდარ ანდღულაძე იხსენებს: „ზურაბ ანჯაფარიძე მთელი სხეულით მღერის. მისი ყოველი ნაკვთი თრთის და მუსიკით იჟღინთება, ეს მუსიკალური ენერგია კონცენტრირდება ჯერ გულში, როგორც ტალღათა კონდენსატორში და მხოლოდ შემდეგ გადაეცემა სახმიოგებს, რომლებიც მხოლოდ ექსტერიორიზაციის იარაღი ხდება, შინაგანი მუსიკალური გრძნობისთვის. იგი არასოდეს ტვირთავდა მსმენელ-მაყურებელს თავისი განცდების თავზე მოხვევით...



ზურაბ სოტკილავა: იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი იყო, რაც შეეხება ზურაბ ანჯაფარიძის ხელოვნებას, მიმაჩნია, რომ იგი თანამედროვეობის უდიდესი მოვლენა იყო, ქართულ ოპერებში ხომ ბადალი არ ჰყავდა — მისი აბესალომი, მალხაზი და მინდია შეუდარებელი და განუმეორებელია.

ლადო ათანელი: ბატონი ზურაბის საოპერო გმირები ძალიან ჰგავდნენ თავად მას — სიკეთით, ადამიანურობით, რაინდობით, შემართებითა თუ მუდმივი მზაობით თანადგომისათვის, ის მაღალი სულის მომღერალი იყო და ყველასათვის საყვარელი პიროვნება.

ელდარ გეწაძე: ბევრჯერ განმიცდია შემოქმედებითი გამარჯვების დიდი სიხარული ზურიკოსთან, როდესაც ეს სწორუპოვარი რაინდი სცენაზე იდგა ყველას ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ზურაბი სიმღერის დროს მხოლოდ მას უმზერდა, ის იყო ჩემი არაჩვეულებრივი პარტნიორი და თანამეინახე.

ინესა მერაბიშვილი: ჩემი თაობა დიდი ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებით იყო მართლაც რომ გასხივოსნებული. მისი „აბესალომი“ იმიტომ იქცა ქართული საოპერო კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომ მას ასრულებდა თავად სიყვარულისა და სიკეთის ღმერთად ქცეული ქართველი — თეთრ ჩოხაში მზესავით მომზირალი, ღვთიურ ხმას ვითარცა ლოცვას რომ აღავლენდა ცისაკენ.

დიდი საოპერო მომღერალი **ივანე კოზლოვსკი** წერდა: ხშირად მეკითხებიან: რაშია ზურაბ ანჯაფარიძის ესოდენ დიდი წარმატების საიდუმლოება?! — თუ გინდა გაიგო ზურაბის არაჩვეულებრივი სიმღერის საიდუმლოება, პირადად უნდა იცნობდე მას და მის შინაგან სამყაროს, მაშინ არ გაგიკვირდება მისი დიდი მომღერლობა, მხოლოდ ზურაბისნაირი სულიერი სითბოს მქონე კაცმა შეიძლება გამოსცეს ზურაბის ხმისნაირი დამატკბობელი ჰანგები...

ანზორ ერქომაიშვილი, ალექსანდრე ხომერიკი, გურამ ძაშაკაშვილი, ნუგზარ (ვალერიანო) გამგებელი, ინესა მერაბიშვილი, ელდარ გეწაძე, მედეა ამირანაშვილი.

მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებელთა ათეულში

2019 წლის მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლის 10 ფინალისტს შორის, ქართველი პედაგოგი ლადო აფხაზავა მოხვდა. „გლობალ თიჩერ 2019“-ის ფინალისტები ჰოლივუდელმა მსახიობმა ჰიუ ჯეკმანმა გამოაცხადა.

„ეს ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არიან. ისინი ასწავლიან როგორც ქალაქებში, ისე სკოლებში. ისინი მხარს უჭერენ ინკლუზიურობას და ბავშვის უფლებებს. ისინი მოსწავლეების შესაძლებლობების განვითარებას ცდილობენ მუსიკით, ტექნოლოგიებით, რობოტექნიკით და მეცნიერებით. ყველა ეს ადამიანი მხარს უჭერს ცვლილებას და შთაგონების წყარო არიან როგორც მოსწავლეებისთვის, ისე საზოგადოებისთვის“, — ნათქვამია „გლობალ თიჩერ 2019“-ის 10 ფინალისტის დახასიათებაში.

ვებგვერდზე განთავსებულია სოფელ ჩიბათის სკოლის მასწავლებლის ლადო აფხაზავას ბიოგრაფია და მოკლე ვიდეორგოლი, სადაც იგი საკუთარი მიზნების შესახებ ყვება.

„მე მიყვარს ჩემი საქმე — ეს მაძლევს შესაძლებლობას, მოვახდინო გავლენა და შევცვალო ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ. ყოველთვის ვცდილობ, რომ სწავლა კომფორტული, სახალისო და დასამახსოვრებელი იყოს მოსწავლეებისთვის. ეს მაძლევს შესაძლებლობას, ბევრი საკეტი გავხსნა“, — აცხადებს ქართველი პედაგოგი.

2019 წლის მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ფინალში ლადო აფხაზავასთან ერთად არიან: დებორა გურაფლო — ბრაზილია; დეიზი მერტენსი — ნიდერლანდები; ენდრიუ მოფეტი — დიდი ბრიტანეთი; სვარუპ რავა — ინდოეთი; მელისა სალგუერო — აშშ; მარტინ სალვეტი — არგენტინა; იასოდაი სელვაკუმარანი — ავსტრალია; ჰიდიკაზუ შოტო — იაპონია; პიტერ ტუბიში — კენია.

ფინალისტები 179 ქვეყნის 10 000 განაცხადიდან შეირჩნენ.

„გლობალ თიჩერ 2019“-ის გამარჯვებული დუბაის განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმზე 2019 წლის 24 მარტს გამოვლინდება და პრიზის სახით მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

ლადო აფხაზავა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. ლადო აფხაზავა 2017 წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

გვარდიოლა: „სიტიმ“ დაუჯერებლად მტკიცე ხასიათი გამოავლინა

„მანჩესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ „შალკესთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში სტუმრად გამარჯვების შემდეგ (3:2) ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისმა გუნდმა დაუჯერებელად მტკიცე ხასიათი გამოავლინა და მიუხედავად იმისა, რომ 1:2 აგებდნენ და კაცნაკლულნი დარჩნენ, მაინც შეძლეს მოგება.

„თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ რამდენიმე ისეთი შეცდომა დავუშვით, რომელსაც ამ ტურნირში არავინ გაპატიებს. მეორე ტაიმში კი დაუჯერებლად მტკიცე ხასიათი და ინდივიდუალური თვისებები გამოვავლინეთ. მხოლოდ დიდ ფეხბურთელებს შეუძლიათ ასეთი მატჩების მოგება“, — განუცხადა გვარდიოლამ უეფას პრესსამსახურს.

„იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ „ატლეტიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის წაგების შემდეგ (0:2) ჟურნალისტებს უთხრა, რომ დამთავრებული ჯერ არაფერია და ტურინში „ბებერ ქალბატონს“ რევანშის შანსი ექნება.

ალეგრი: ტურინში რევანშის შანსი გვექნება

„მეორე ტაიმში საშინლად ვირჯებოდით და მოწინააღმდეგეს უფლება მივეცით, თავისი თამაში მოეხვია თავს. ვიცოდით, რომ „ატლეტიკო“ თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ მოგვცემდა, მაგრამ ვითარებას ალღო ვერ ავუღეთ და დავისაჯეთ.

ტურინში უძნელესი მატჩი გველის, მაგრამ განსაკუთრებული შეხვედრა უნდა ჩავატაროთ. რევანშის შანსი კიდევ გვექნება“, — ციტირებს ალეგრის სიტყვებს უეფას პრესსამსახური.

საპასუხო მატჩი 12 მარტს გაიმართება ტურინში.

გიორგი შოთაძე

◎ ვითარება

საქართველოს რაგბის კავშირის პასუხი

12 თებერვალს ფრაქცია „ქართული ოცნება — ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე, ბატონი ბიძინა გეგიძე პრესკონფერენციაზე შეეხო საკითხს რაგბის კავშირის კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთის კომპანია „ანაგისათვის“ გადაცემის თაობაზე. ციტატა ბ. გეგიძის პრესკონფერენციიდან:

„რაგბის კავშირმა გაყიდა რაგბის მოედნისთვის გამოყოფილი მიწა, რათა იქ კომპანია „ანაგის“ მიერ აშენდეს უზარმაზარი საცხოვრებელი კორპუსი. ეს ყველანაირი ნორმიდანაა ამოვარდნილი. ჩვენ მივმართეთ კომპანიას, რომელმაც გვიპასუხა, რომ იურიდიულად ყველაფერი დაცულია, მაგრამ როდესაც საუბარია კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ ბიზნესზე, იურიდიული პროცესით არ განისაზღვრება ბიზნესის კეთილსინდისიერება. თუ საჯარო ინტერესები ბიზნესისთვის არ არის არგუმენტი, მე ასეთი ბიზნესის არ მწამს. პირდაპირ მივმართავ მერიას, მერს, რომ არ უნდა გაიცეს ნებართვა რაგბის სტადიონზე და კომპანია „ანაგს“ არ უნდა მისცეს ნებართვა ვერეს ხეობაში აშენდეს გრანდიოზული შენობა. ყველა შეთანხმდა, რომ ვერეს ხეობაში მშენებლობები უნდა შეჩერდეს. რაგბის კავშირს ჰქონდა ვალდებულება, რომ იქ აეშენებინა მოედანი, მაგრამ შემდეგ ეს ვალდებულება შეიცვალა, რაც სერიოზულ კითხვებს ბადებს — როგორ მოიხსნა ეს ვალდებულება, როგორ შეიცვალა?!“

საქართველოს რაგბის კავშირის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და საიმისოდ, რომ თბილისის მერია და ქართველი საზოგადოება არ იქნას შეყვანილი შეცდომაში, საქართველოს რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მოგახსენებთ შემდეგს:

„აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერეს ხეობაში, რომლის ფართიც იმ დროისთვის გახლდათ თითქმის 23 000 მ2, 1997 წელს გადაეცა საქართველოს რაგბის კავშირს იმისათვის, რომ გაშენებულიყო სარაგბო ინფრასტრუქტურა (რაგბის მოედანი და სარაგბო ბაზა). ამ საკითხით 1999 წელს დაინტერესდა და დაფინანსების გამოყოფით აქტიურად ჩაება მსოფლიო რაგბის საბჭო (დღევანდელი მსოფლიო რაგბი). მიუხედავად ამ მცდელობებისა, რაგბის ბაზის აშენების საკითხი ვერც გეგიძის საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის დროს (2004 წლამდე) და ვერც შემდგომში ვერ დაიძრა. უფრო დეტალური, ობიექტური მიზეზები თავად ბიძინა გეგიძემ უნდა იცოდეს. 2009 წელს ქ. თბილისის მერიამ ქალაქის განაშენიანების ახალი გეგმის შესაბამისად რაგბის კავშირს ჩამოაჭრა ამ მიწის ნაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაუტოვა 12 000 კვ.მ., რომლის კონფიგურაცია და პარამეტრები პრაქტიკულად გამორიცხავს არათუ რაგბის ბაზის, არამედ სრულფასოვანი სავარჯიშო მოედნის განთავსებას. მერიის გადაწყვეტილება დასაბუთდა „მზიურის“ ტერიტორიაზე პარკისა და რეკრეაციული ზონის შექმნით. რაგბის კავშირმა, როგორც ყოველთვის, მოთმინებითა და მორჩილებით მიიღო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. რაგბის კავშირის საკუთრებაში დარჩენილი 12000 კვმ. ფართის დანიშნულება შეიცვალა ფუნქციურად, ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთზე არათუ სარაგბო ბაზის, არამედ სრულფასოვანი სავარჯიშო მოედნის განლაგება უკვე შეუძლებელი გახდა. რაგბის კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა მიწის ნაკვეთი გამოეყენებინა იმ მიზნით, რომ აქედან მიღებული შემოსავალი მოხმარებოდა რაგბის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამის დასასაბუთებად ისიც კი საკმარისია ითქვას, რომ რაგბის კავშირი, როგორც მიწის მესაკუთრე, 13 წლის განმავლობაში მხოლოდ გადასახადებს იხდიდა ამ მიწის ნაკვეთზე და სანაცვლოდ არანაირი სარგებელი არ გააჩნდა.

დაწყებული 2009 წლიდან, დღემდე არანაირი სარაგბო ბაზის შექმნის ან სხვა რაიმე ტიპის ვალდებულება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ არსებობს. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს რაგბის კავშირი 2018 წლის ბოლომდე უშედეგოდ ცდილობდა მოეძებნა ინვესტორი, რომელიც „გააცოცხლებდა“ ამ ტერიტორიას. საამისოდ ქალაქის მერიამ 2013 წელს განაშენიანების რეგულირების გეგმაც კი დაამტკიცა, რაც პოტენციური ინვესტორისთვის დამატებითი მოტივაცია უნდა ყოფილიყო.

2013 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პარამეტრებით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (K2) იყო 4.5, რაც მართლაც უზარმაზარი შენობის მშენებლობის შესაძლებლობას გულისხმობდა, თუმცა, 2018 წლის ახალმა რეგულაციებმა შეცვალა ზოგიერთი პარამეტრი, რის შედეგადაც ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განისაზღვრა საცხოვრებელი ზონა 6, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ასაშენებელი შენობის ზომა. საქართველოს რაგბის კავშირი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაგებით მოეკიდა ქალაქის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით და იმისათვის, რომ მიწის ნაკვეთი შესაბამისად განვითარდეს, ჩვენ მოვიძიეთ მაღალი პროფესიული რეპუტაციის მქონე, ყველაზე წარმატებული ქართული სამშენებლო კომპანია, რომლის შექმნილი პროდუქტიც დარწმუნებული ვართ ხვალინდელი თბილისის სავიზიტო ბარათი გახდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის უცხო და მიუღებელია საჯარო სივრცეში ვინმეს ქმედებების მორალური შეფასებები. ჩვენ ვემორჩილებით კანონს, ვხელმძღვანელობთ კანონით და კანონით მონიჭებული კომპეტენციის ფარგლებში წარვმართავთ სარაგბო და მასთან დაკავშირებულ სამეურნეო პოლიტიკას, საჯარო ინტერესები კი აბსტრაქტულად არ არსებობს და სწორედ რომ კანონის რეგულაციის სფეროს განეკუთვნება.

ისე კი, საკითხავია, ვინ ან რამ შეუშალა ხელი ბატონ გეგიძეს, რომ საჯარო განცხადების გაკეთებამდე უშუალოდ რაგბის კავშირისგან მიეღო პასუხი თავის „სერიოზულ კითხვებზე“?

კობა კობახიძე

◎ თანამემამულე

რატიშვილი დელეგატია

ფიბა-მ მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებისთვის მსაჯები და ტექნიკური დელეგატები შეარჩია. ამ ინფორმაციას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახური ავრცელებს.

წარმოგიდგენთ საქართველოს მატჩზე დანიშნულ ოფიციალურ პირებს და ასევე ფიბას ერთადერთი ქართველი ტექნიკური დელეგატის **მერაბ რატიშვილის** ნომინაციას, რომელიც შესარჩევის საკმაოდ პრინციპულ შეხვედრას მოემსახურება: **24 თებერვალი. თბილისი (საქართველო) საქართველო — ესტონეთი.**

მსაჯები: **ოსკარს ლუცისი (ლატვია), ზაფერ ილმაზი (თურქეთი), ლუკა კარდუმი (ხორვატეთი).**

ფიბა-ს ტექნიკური დელეგატი: **რომან კოლარი (სლოვენია).**

24 თებერვალი. პერმი (რუსეთი). რუსეთი — ფინეთი.

ფიბა-ს ტექნიკური დელეგატი: **მერაბ რატიშვილი (საქართველო).**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სვლა დიდი კინოსკენ



ჩვენში ალბათ ბევრმა არ იცის, რომ პოპულარული კანადური სერიალის — „ვამპირის დღიურების“ ვარსკვლავი და ერთბაშად ორი გმირის განმასახიერებელი მსახიობი ნინა დობრევა წარმოშობით ბულგარეთიდანაა და ყმაწვილქალობისას მხატვრული ტანვარჯიშით იმდენად იყო გატაცებული, რომ მისი მთავარი ოცნება ოლიმპიური ჩემპიონობა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ როდესაც კანადაში გადავიდა საცხოვრებლად, მხოლოდ 2 წლის იყო, მის ასევე ყოფილ მსახიობს და ტანმოვარჯიშე დედას გოგონა სამი წლიდან უკვე ტანვარჯიშზე მიუყვანია და ძალიან კარგი სპორტული შედგებიც ჰქონია, თუმცა, აბა, რა გასაკვირია რომ გულმა საბოლოოდ მაინც კინოსკენ გაუწია.

ნინა დობრევა ერთ-ერთი მათაგანია, რომელმაც უნივერსიტეტში სოციოლოგიის სწავლას და წიგნებით თვალების ამოღამებას, მსახიობობაში ბედის ცდა ამჯობინა და დღეს ყოფილი ტანმოვარჯიშე და არშემდგარი სოციოლოგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კანადელი მსახიობია. ბულგარეთში კი ფიქრობენ, რომ ნინას ფესვებით ბულგარელობა მეტ ხაზგასმას და წარმოჩენას იმსახურებს. ჩვენც წარმოვაჩინოთ!

როსტომ რაჭველიშვილი

ზუგდიდში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ლ.ს. ძარცვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 18 თებერვალს ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან მოქალაქე დ.შ.-ს კუთვნილი 2620 აშშ დოლარი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ლ.ს. თბილისში დააკავეს. პოლიციამ ნაძარცვი თანხის დიდი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ვერცხლის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და ძველი თბილისის სამმართველოების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობის ბრალდებებით 5 პირი: 1985 წელს დაბადებული ლ.ს., 1968 წელს დაბადებული ზ.ს., 1983 წელს დაბადებული მ.ხ., 1992 წელს დაბადებული ლ.პ. და 1987 წელს დაბადებული გ.დ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 19 თებერვალს, თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა ლ.ს.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე ჭრილობა მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ბ.ბ.-ს, რის გამოც იქვე მყოფმა, 1979 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ, თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღით, კონფლიქტში მონაწილე პირების მიმართ საპასუხო გასროლები განახორციელა. აღნიშნული სროლის დროს, მან სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1969 წელს დაბადებულ ზ.ჯ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. კონფლიქტში მონაწილე სხვა პირები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაჭრილი ბ.ბ. ამ დრომდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. სამართალდამცველები ზ.ჯ.-ს განზრახ მკვლელობაში მხილებულის, 1979 წელს დაბადებული ა.ბ.-ს ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით ინტენსიურად მუშაობენ.

გაუპატიურება, ოჯახში ძალადობა და ძარცვა

იტალიური მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთ ქალაქში საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

მათივე ცნობით, დაკავებულია 38 წლის მამაკაცი, რომელსაც გაუპატიურებაში, ოჯახურ ძალადობასა და ძარცვაში ადანაშაულებენ. ახალგაზრდა მამაკაცი მეუღლეს სამსახურიდან გამომუშავებულ თანხას სძალავდა და სცემდა.

ფალსიფიცირებული ხინკალი, კოტლეტი და გუფთა

ხორცის ნახევარფაბრიკატების ფალსიფიკაციის ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ორი პირი პასუხისგებაში მისცა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ხორცის ნახევარფაბრიკატების ფალსიფიკაციის ორი ფაქტი გამოავლინეს და ორი კომპანიის ხელმძღვანელი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ქალაქ ბათუმში მდებარე ხორცის ნახევარფაბრიკატების საწარმოებში, ფალსიფიცირებულ — თვისობრიობაშეცვლილ ხორცპროდუქტებს (კოტლეტი, გუფთა, ხინკალი) აწარმოებდნენ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პროდუქტების შემადგენლობა არ შეესაბამებოდა ეტიკეტზე მითითებულ მონაცემებს — მზა პროდუქტში დაბალი იყო ცხიმის, ცილის და ფარშის მასური წილის შემცველობა, ასევე ენერგეტიკული ღირებულება.

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, მერაბ გურული, ზურაბ ფოჩხუა, თემურ მურღულია სამძიმარს უცხადებენ ნანა და ვაჟა გენგაშვილებს დედისა და სიდედრის

სიდონია (სიფიდანი) სამსონის ასული შიოშვილის

გარდაცვალების გამო.

ლია, გურამ, მაია გვეტაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიძაშვილი

რაულ გვეტაძე

ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი მეტალურგიის დარგში.

მეუღლე ნუნუ კინტრაია, შვილები მაია, მანანა, ცოლისძმა პალიკო კინტრაია ოჯახით იუწყებიან

ოთარ რუბაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 22, 23 II, გამოსვენება 24 II, 14 სთ. მისამართი: სოლომონ ქურდიანის (ყოფილი ზაქრაძის) ქ. №6.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ღვაწლმოსილ თანამშრომელს, ქალბატონ ნუნუ კინტრაიას გარდაეცვალა მეუღლე

ოთარ რუბაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქორწილის გადახდა ყალბი ფულით უნდოდა

მალაიზიელმა 28 წლის მამაკაცმა მდიდრული ქორწილის გადახდა გადაწყვიტა და ამისთვის ყალბი ფული დაამზადა. ამის შესახებ უცხოური მედია იტყობინება.

ახალგაზრდა მამაკაცი ჯარში მსახურობდა და ფული სწორედ სამხედრო ბაზის ასლის გადამღებ აპარატზე დაამზადა, ამისთვის მას რამდენიმე დღე დასჭირდა. შემდეგ მან ყალბი ფული ნამდვილ ფულში შეურია და საცოლეს საქორწილო ხარჯების გასასტუმრებლად გადასცა. საცოლემ ყურადღება ფულის უცნაურ შესახედაობაზე გაამახვილა, თუმცა ჯარისკაცმა მას აუხსნა, რომ ასეთი ფული ბანკომატიდან აიღო, ამის დასადასტურებლად კი ბანკომატთან ახლოს მდებარე ნაგვის ურნიდან ამოღებული ჩეკები აჩვენა. საცოლემ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მას პოლიციისთვის მიმართვა ურჩია.

მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ თუ ყალბი ფულის მიღების წყაროდ ბანკომატს დაასახელებდა, ბანკი მათ ნამდვილ ფულში გადაუცვლიდა და პოლიციაში საჩივარი შეიტანა, თუმცა პოლიციამ საქმე გამოიძია და საჩივრის შეტანიდან მეორე დღეს თავად ის დააპატიმრეს. საბეჭდი აპარატი და ჯარისკაცის ნამდვილი და ყალბი ფულიც კონფისკაციას დაექვემდებარა.

რომ არ დაეჭირათ, ნახევარ საქართველოს მოწამლავდნენ...

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქობულეთში ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება კოკაინი ამოიღო, — განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ მამუკა ჭელიძემ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე.

„სამართალდამცველებმა 1978 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე — ა.ჯ. და 1994 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე — ნ.კ. დააკავეს, რომლებსაც დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ ბრალი. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, თურქეთის მოქალაქის პირადი ჩხრეკისას, დაახლოებით, 1 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული ნარკოტიკი ბრაზილიიდან ნ.კ.-ს სახელზე ამანათით გამოიგზავნა.

ასევე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული გ.ვ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალების 274 აბი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გარდა ამისა, პოლიციამ, საქართველოს ფოსტასთან თანამშრომლობით, თბილისში დააკავა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები — წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი 2 პირი — დ.კ. და ზ.შ., რომლებმაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება იტალიიდან საქართველოში, საფოსტო გზავნილის სახით გამოგზავნეს. დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით, იტალიაში ველოსიპედი შეიძინეს, მასში სპეციალურად მოწყობილ სამალავში ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ მოათავსეს და ფოსტის მეშვეობით საქართველოში გამოგზავნეს. სამართალდამცველებმა, ერთ-ერთი ბრალდებულის — დ.კ.-ს დაკავებისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ფოსტიდან ახლად გამოტანილი ველოსიპედი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 268 აბი და 10 ნატეხი იყო მოთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინის უკანონო შეძენა-შენახვისთვის კიდევ ერთი პირი დააკავა. ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რუსთავში დაკავებულია 1996 წელს დაბადებული რუსეთის მოქალაქე — გ.ჯ. პოლიციამ, დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 48 შეკვრად დაფასოებული და ასევე, დასაფასოებლად გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო.

მიმდინარე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებულია: 10 კილოგრამამდე „ჰეროინი“, 1 კილოგრამი და 200 გრამი „კოკაინი“, 650 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 1000 აბზე მეტი „ექსტაზი“, 150 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება და 100 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატები. 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე, პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში 275 პირი მისცა“.



იდუმალი გამონათებები ატმოსფეროში

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლის მიხეილ პანასიუკის მიერ რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტისთვის“ მიწოდებულმა ცნობამ დედამიწის ატმოსფეროში იდუმალი მოვლენების შესახებ, მთელი ინსტიტუტი, რომ იტყვიან, „ყურებზე დააყენა“.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხალხის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მეცნიერებს არ შეუძლიათ იმ მარტივი მიზეზით, რომ... თავადაც არ იციან, თუ რასთან აქვთ საქმე. თუმცა კი არ მალავენ, რომ დედამიწის ატმოსფეროში რაღაც უცნაურობები ხდება.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დაახლოებით წლინახევრის წინ, ხელოვნურმა თანამგზავრმა „მიხაილო ლომონოსოვმა“ დედამიწის ზედაპირიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის სიმაღლეზე ძლიერი ულტრაიისფერი გამონათებები აღნუსხა, რომლებსაც მეცნიერები „უზარმაზარი სიმძლავრის სინათლის აფეთქებებს“ უწოდებენ. მაგრამ, მათ წარმოშობას მკვლევარები ვერაფრით ვერ ხსნიან.

სამეცნიერო კოსმოსური აპარატი „მიხეილ ლომონოსოვი“ ორბიტაზე 2016 წელს გაუშვეს და ის ჩინებულად მუშაობდა, მაგრამ შარშან, მოულოდნელად, სამუდამოდ მწყობრიდან გამოვიდა. ეს კი უმალ იმის შემდეგ მოხდა, რაც მისმა აპარატურამ იდუმალი გამონათებები აღნუსხა. ამიტომაც, მეცნიერები სავსებით საფუძვლიან ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ეს ორი მოვლენა ურთიერთკავშირშია.

მეტიც: **მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ დედამიწის ატმოსფეროში უამრავი სხვა, ჯერჯერობით ასევე აუხსნელი მოვლენა ხდება, რომლებსაც მეცნიერები არანაკლებ მისტიკურ სახელს — „ელფებს“, „ტიგერებს“, „ცისფერ ჯეტებს“, „სპრაიტებსა“ და სხვა ამგვარ სახელს არქმევენ. ეს ფენომენები რაღაცით ელვებს ჰგავს, მაგრამ ელვები არ არიან. ისევე, როგორც აფეთქებები არ არიან „მიხაილო ლომონოსოვის“ მიერ აღნუსხული სინათლის გამონათებები. ისინი დედამიწის ზედაპირიდან 50-დან 100 კილომეტრის სიმაღლეზე ჩნდებიან იქ, სადაც ელჭექის ღრუბლების ნასახი არ არის.**

დედამიწის შემოგარენის ეს იდუმალი გაელვებები წამის მეათასედებში ჩნდებიან და მერე უკვალოდ ქრებიან. მეცნიერებმა მხოლოდ საუკუნის დასაწყისში შეძლეს რამდენიმე მათგანის გამოსახულების აღბეჭდვა, თუმცა კი მათი ბუნების დადგენას ვერაფრით ახერხებენ.

დალი ხუნდაძე

მოხუცმა ცოლ-ქმარმა სანაპიროზე „ნატვრის ხე“ იპოვა

უელსში მოხუცმა ცოლ-ქმარმა სანაპიროზე აღმოაჩინა ხე, რომელშიც ასეულობით მონეტაა ჩარჭობილი. ზოგიერთი მონეტა საკმაოდ ძველია, მათი ასაკი რამდენიმე ასეული წელია.

სავარაუდოდ, ეს არის ძველი ბრიტანული ტრადიციული „ნატვრის ხის“ ნაწილი — შუა საუკუნეებში ბრიტანეთის კუნძულის მოსახლეობა ხეში მონეტებს არჭობდა, რადგან ითვლებოდა, რომ ის მათ ბედნიერებას მოუტანდა. მიუხედავად იმისა, რომ „ნატვრის ხე“ მრავალი ხალხის მითოლოგიაში გვხვდება, ხეებში მონეტების ჩარჭობის ტრადიცია მხოლოდ ბრიტანეთში გვხვდება.

„ღვინის მეგზური“

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა გიდებისთვის კიდევ ერთი პრაქტიკული სახელმძღვანელო დაბეჭდა. „ღვინის მეგზური“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც მეღვინეობით დაინტერესებული ადამიანებისა და გიდებისთვის სამაგიდო სახელმძღვანელოს წარმოადგენს. წიგნში თავმოყრილია ყველა საჭირო ინფორმაცია ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიის, ღვინის დაყენების ტექნოლოგიის, ქართული ვაზის ჯიშების, ღვინის კანონმდებლობის, ღვინის დაგემოვნების ხელოვნებისა და კერძებთან მისი შეხამების შესახებ. წიგნში საუბარია ასევე, აჭარაში გავრცელებულ ვაზის ჯიშებსა და ღვინის მარნებზე.

„ღვინის მეგზური“ მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელოა, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა გიდებისთვის მოამზადა. მისი ავტორია მწერალი, ღვინის კლუბის დამაარსებელი და Wine & Spirit Education Trust-ის მე-3 დონის სერტიფიცირებული ღვინის პროფესიონალი მალხაზ ხარბედია.

ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდა იგეგმება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი უნგრეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული კომპანიის Unitravel Management-ის დირექტორსა და დამფუძნებელს შეხვდა.

შეხვედრაზე თბილისსა და ბუდაპეშტს შორის პირდაპირი ავიარეისის დანიშვნის შესაძლებლობა განიხილეს. Unitravel Management განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებით. უნგრეთის ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით მარკეტინგული კამპანიების ჩატარება და პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზება იგეგმება.

აპრილში საქართველოში პრეს და გაცნობითი ტური მოწყობა. ტურში მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის წამყვანი მედია საშუალებების და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. ტურის მონაწილეები გაეცნობიან საქართველოს კულტურას, ისტორიას, ქართულ სამზარეულოს და ღვინის ტრადიციულად დამზადების წესებს. ასევე დაგემილია საქართველოს სამთო კურორტებზე გაცნობითი ტურის მოწყობა უნგრეთის ტურისტული კომპანებისათვის. 2018 წელს უნგრეთიდან საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა +14.1 %-ით გაიზარდა.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6574; ევრო - 3.0146;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4629
100 რუბლი - 4.0421; თურქული ლირა - 0.5009;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5673;
1000 სომხური დრამი - 5.4233.

ამინდი 22 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge